

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008 წელი №9

აპელაცია

1. სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი
2. სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება
3. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

1. სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი

განჩინება

ას-420-664-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 18 იანვარს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე გ. ქ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების: ე. გ-იას, თ. ჭ-უას, ი. ჭ-უას, ბ. ა-იას, ა. თ-უას, ლ. ა-იასა და სხვათა მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა ანუ ავარიული კორპუსიდან მოპასუხეების გამოსახლება შემდეგი საფუძველით: ქ. თბილისში, ... მდებარე 327-ე კორპუსი არის ავარიული, რის გამოც შექმნილია რეალური საშიშროება მისი უცარი ჩამოქცევისა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ა-იანთა მსხვერპლი, ახლო მდებარე სახლების მდგრადობის მკვეთრად გაუარესება და მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანება. მოსალოდნელი მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა 1997 წლის 13 ნოემბერს მიიღო დადგენილება #22.29.1240 ... რაიონში, ... 327-ე ავარიულ კორპუსში მცხოვრებთათვის ბინების შესასყიდად საკომპენსაციო თანხების გაცემისა და შენობის აღდგენა-გამაგრების ღონისძიებათა შესახებ». ამ დადგენილების საფუძველზე ყოფილი ... რაიონის გამგეობის მიერ 1997-98 წლებში კორპუსიდან გასახლებულ იქნა ყველა ოჯახი, რომლებმაც ბინების სანაცვლოდ მიიღეს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და კორპუსი გამოთავისუფლდა. შემდგომში კორპუსი თვითნებურად იქნა დაკავებული მოპასუხეთა მიერ. აღნიშნული კორპუსის მიმართ აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2004 წლის 13 აგვისტოს დადგენილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მოპასუხეებისა და მათთან ერთად მცხოვრები პირების უსაფრთხოებას რეალური საშიშროება ემუქრება, შესაბამისად, უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას ევალება კორპუსში შეჭრილ მოქალაქეთა გამოსახლება. ვინაიდან კორპუსი გამგეობის ბალანსზეა, გამგეობის ხელმძღვანელობის მიერ მოპასუხეები სრულყოფილად არიან ინფორმირებულები შექმნილი მდგომარეობის შესახებ და გაფრთხილებული არიან იმ მოსალოდნელი მძიმე შედეგების თაობაზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათ კორპუსში დარჩენას და მიცემული აქვთ წინადადება დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კორპუსი. ვინაიდან მოპასუხეები უარს აცხადებენ ნებაყოფლობით ფართის გაათავისუფლებაზე, მოსარჩელე მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლების შესაბამისად, უკანონოდ დაკავებული ფართის გამოთხოვასა და კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ანუ მოპასუხეთა გამოსახლებას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ შორის არიან როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, ისე - აღნიშნული სტატუსის არმქონე სოციალურად დაუცველი პირები. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოპასუხეთა წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო კორპუსში დროებით საცხოვრებლად შესახლდნენ ისანი-სამგორის რაიონის ყოფილი გამგებლის - დ-იას სიტყვიერი ნებართვით. სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. მოპასუხეები თვლიან, რომ კორპუსიდან არ უნდა გამოსახლდნენ მანამ, სანამ დევნილები აფხაზეთში არ დაბრუნდებიან ან მათ უზრუნველყოფენ ალტერნატიული ფართით. ამასთან, მზად არიან, თავიანთ თავზე აიღონ კორპუსის შესაძლო დანგრევის შედეგად გამოწვეული ზიანის რისკი. მოპასუხეთა აზრით, მოსარჩელეს არა აქვს მათი გამოსახლების მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ წარმოადგენს სადავო საცხოვრებელი კორპუსის მესაკუთრეს.

2007 წლის 23 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ საბოლოოდ დაზუსტდა მოპასუხეთა სია და წარმოდგენილ იქნა სრულყოფილი სახით.

2007 წლის 16 ოქტომბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა, საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით ჩართულმა ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» კანონის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე არსებული ქონება გადაეცა თვითმმართველ ერთეულს, შესაბამისად, მოსარჩელე ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა წარმოადგენს უფლებამოსილ პირს სადავო ქონების მიმართ. მესამე პირის - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამინისტრო ზრუნავს დევნილთა უფლებებზე, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე იქედან, რომ შენობა არის ავარიული, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. მისივე განმარტებით, სამინისტროს დღეისათვის არ გააჩნია ფართი, რომლითაც მოხდებოდა აფხაზეთიდან დევნილ მოპასუხეთა დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით დ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ლ-შვილმა. მან მიუთითა, რომ იგი წარმოადგენს მხარეს მოცემულ საქმეზე. იგი ნამდვილად ცხოვრობს იმ ბინაში, საიდანაც გამოასახლეს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ იგი არ არის მხარე მოცემულ საქმეზე უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ დ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2005 წლის 18 იანვარს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მოადგილე გ. ქ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების - ე. გ-იას, თ. ჭ-უას, ი. ჭ-უას, ბ. ა-იას, ა. თ-უას, ლ. ა-იასა და სხვათა მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. ლ-შვილმა, რომელიც არ წარმოადგენს მოცემულ საქმეზე მხარეს, იგი არ არის არც მოსარჩელე და არც მოპასუხე, არ არის თანამონაწილე და არც მესამე. აღნიშნული განჩინება პროცესუალურად არ ეხება მას და, შესაბამისად, არ დარღვეულა მისი საპროცესო უფლებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა დ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად, ვინაიდან იგი არ არის მოცემულ საქმეზე გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-943-1249-07 16 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 22 მარტს ქ. ს-მემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სს «თელასისაგან» უკანონოდ დარიცხული 937 ლარის და 48 თეთრის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ს-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ქ. ს-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ ქ. ს-მის მოთხოვნას წარმოადგენს სს «თელასის» მიერ დარიცხული 937 ლარის და 48 თეთრის გაუქმება, რაც არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ქ. ს-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო საჩივრის საგანი არ წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის მატარებელს, არამედ დავა მიმდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დაწყების დროის არასწორად განსაზღვრაზე, რითაც ილახება მისი კონსტიტუციური უფლება სასამართლო განხილვაზე, რამეთუ დავის საგანს ხანდაზმულად ცნობის გამო ძირითად მოთხოვნაზე ყოველგვარი პრეტენზია უსაფუძვლოდ განუხილველი რჩება.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც მხარი შეიტყობს უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მან უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო არა 2001 წელს, როცა «თელასის» მიერ მოხდა მასზე თანხის უკანონო დარიცხვა, არამედ 2003 წელს (სწორედ მაშინ მიმართა განცხადებით სს «თელასს», ვინაიდან იმ დროს შეიტყო თანხის დარიცხვის შესახებ) აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ 2000, 2001 და 2002 წლებში მრიცხველი გარეთ იქნა გამოტანილი, ქვითარი გადასახადის აღნიშვნით არ მიდიოდა და გადასახადებს იხდიდა იმის მიხედვით, როგორც წარსულში აკეთებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. ს-ძემ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ს/ს «თელასის» მიერ უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა, დავის საგნის ფასი თავად განსაზღვრა და მიუთითა 937 ლარსა და 48 თეთრზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. ს-ძემ და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ანუ ს/ს «თელასის» მიერ უკანონოდ დარიცხული თანხის - 937 ლარისა და 48 თეთრის ჩამოწერა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

ზემოხსენებული მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად რადგან, ქ. ს-ძის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს, კერძოდ, განსახილველ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-960-1264-07 18 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ვ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჰ. ჟ-იანის მიმართ ზიანის - 1200 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 31 აგვისტოს ჰ. ჟ-იანმა განზრახ დაანგრია მოსარჩელის დამხმარე სათავსი. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მ. ვ-იანს მიადგა მატერიალური ზიანი 800 ლარის ოდენობით. მითითებული თანხის გარდა, მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისროს 400 ლარის - ხელოსნის ხელფასის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, ვინაიდან მ. ვ-იანი წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩელეს და სადავოდ ხდიდა სასამართლოს მიერ დადგენილი ზიანის ოდენობას.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ჰ. ჟ-იანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 800 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სრული მოცულობით გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან მისი ღირებულებაა 800 ლარი, რაც კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ აღემატება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ჰ. ჟ-იანმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება. ამასთან, მხარემ აღნიშნა, რომ სადავო სათავსი, რომლის დანგრევის გამოც მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა, არასწორად შეფასდა 800 ლარად, ვინაიდან იყო ძველი და მისი ღირებულება ნაკლებად უნდა შეფასებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჰ. ჟ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ჰ. ჟ-იანს მის სასარგებლოდ დაეკისრა 800 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მოცემულ შემთხვევაში ჰ. ჟ-იანის სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 800 ლარს, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იგი მართებულად იქნა ცნობილი დაუშვებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჰ. ჟ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-1008-265-08

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ოქტომბერს მ. ჯ-მემ სარჩელით მიმართა გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულს სასამართლოს მოპასუხე ჯ. ხ-ავას მიმართ, მოითხოვა მოპასუხესთან განქორწინება და მცირეწლოვანი შვილების სარჩოდ ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად 100-100 ლარის ოდენობით.

გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-მის სარჩელი მოპასუხე ჯ. ხ-ავას მიმართ განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მ. ჯ-მესა და ჯ. ხ-ავას შორის შეწყდა 1998 წლის 25 თებერვალს ქ. ქუთაისში, ტყვარჩელის სარ. განყოფილებაში #29 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება, მოპასუხე ჯ. ხ-ავას დაეკისრა მ. ჯ-მის სასარგებლოდ მცირეწლოვანი შვილების: თ. და გ. ხ-ავების სარჩოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50-50 ლარის ოდენობით მათ სრულწლოვანებამდე. მოპასუხეს ალიმენტის გადახდის დაწყება დაევა 2007 წლის 19 ოქტომბრიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ხ-ავას წარმომადგენელმა - გ. კ-იამ, მოითხოვა მისი შეცვლა ალიმენტის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით - გ. ხ-ავასთვის ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად 30-30 ლარის ოდენობით შვილების სრულწლოვანებამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ჯ. ხ-ავას წარმომადგენელ გ. კ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტი ითხოვს ყოველთვიურად გადასახდელად დაკისრებული ალიმენტის შემცირებას 40 ლარით, სააპელაციო საგნის ღირებულება სსკ-ის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, შეადგენს 480 (40X12) ლარს, რაც არ აღემატება 1000 ლარს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ხ-ავას წარმომადგენელმა - გ. კ-იამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ ჯ. ხ-ავას მიერ გასაჩივრებული იყო გადაწყვეტილება მისთვის ალიმენტის სახით, ყოველთვიურად 50-50 ლარის დაკისრების ნაწილში, რის გამოც დავის საგნის ღირებულება არის 1200 (100X12) ლარი და სასამართლოს სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო, განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და კანონით. დავის საგნის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40-41-ე მუხლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება - ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ხ-ავას დაეკისრა მ. ჯ-მის სასარგებლოდ მცირეწლოვანი შვილების - თ. და გ. ხ-ავების სარჩოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50-50 ლარის ოდენობით მათ სრულწლოვანებამდე.

ასევე დადგენილია, რომ ჯ. ხ-ავას წარმომადგენელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა ალიმენტის დაკისრების ნაწილში და მოითხოვა მცირეწლოვანი შვილების სასარგებლოდ მისთვის ყოველთვიურად 30-30 ლარის დაკისრება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ჯ. ხ-ავას მიერ გასაჩივრებული იყო გადაწყვეტილება მისთვის ალიმენტის სახით, ყოველთვიურად 50-50 ლარის დაკისრების ნაწილში, რის გამოც დავის საგნის ღირებულება არის 1200 (100X12) ლარი და, შესაბამისად, სსკ-ს 365-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრით მან მოითხოვა ალიმენტის შემცირება 20-20 ლარის ოდენობით - სულ 40 ლარით, შესაბამისად სააპელაციო საგნის ღირებულება განისაზღვრება 480 (40X12) ლარით, რაც არ აღემატება 1000 ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ჯ. ხ-ავას წარმომადგენელ გ. კ-იას სააპელაციო საჩივარი სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. ხ-ავას წარმომადგენელ გ. კ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 დეკემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

დავის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-172-439-08

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ბუნებრივი რესურსების უკანონო სარგებლობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა ბ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე ფ. კ-ოვის მიმართ და მოითხოვა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის - 1175 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

2006 წლის 15 აგვისტოს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს თანამშრომლების მიერ გამოვლენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რის შესახებაც მოპასუხე ფ. კ-ოვის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მის მიერ დარღვეული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მოთხოვნები. აღნიშნულზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მას სახდელად დაედო ჯარიმა 90 ლარის ოდენობით და ზიანის ანაზღაურებაზე წარედგინა მოთხოვნა 1175 ლარი. ფ. კ-ოვის მიერ ზიანი ნებაყოფლობით ანაზღაურებული არ იყო, რის გამოც მოსარჩელემ ზიანის ანაზღაურება მოითხოვა სასამართლოს მეშვეობით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა ბ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სააპელაციო საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ჩააპარდა 2007 წლის 15 ნოემბერს,

შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2007 წლის 16 ნოემბრიდან და დასრულდა 2007 წლის 30 ნოემბერს. სააპელაციო საჩივარი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა ბ. მ-შვილმა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2007 წლის 11 დეკემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას. დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლს. რადგან საქართველოს კანონის სახ. ბაჟის შესახებ 1-ლი მუხლის თანახმად «სახ. ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი შესაბამისი იურიდიული მოქმედების შესრულებისათვის». საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი კი არეგულირებს ქონებრივ სამართლებრივი დავების ღირებულებას.

ასევე კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ბოლნისის რაიონულმა და სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ გარემოს დაცვის ინსპექცია თავისუფლდებოდა სახ. ბაჟის გადახდისაგან.

კერძო საჩივრის აზრით, გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიურომ ბოლნისის რ-ლი სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღო 2007 წლის 15 ნოემბერს, რომელიც გასაჩივრებულ იქნა 2007 წლის 29 ნოემბერს გასაჩივრების 14-დღიან ვადაში. მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში დაუშვა ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიურომ.

მოცემულ შემთხვევაში გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან დავის საგნის ღირებულება წარმოადგენს 100 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აპელანტის მიერ გასაჩივრებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. აღნიშნული საკითხი კი ქონებრივ-სამართლებრივია და იგი დასაშვებად იქნებოდა ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაჟის ოდენობაც იქნებოდა 1000 ლარზე მეტი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი რადგან, აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს, კერძოდ კი განსახილველი დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-178-445-08

23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სარჩელი სს «თელასის» მიმართ სამსახურიდან დათხოვნის დღეს სს «თელასის» ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო იძულებით გაცდენილი მთელი დროისათვის საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახებ დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა იმავე საქმეზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2007 წლის 26 ივნისს ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება მოპასუხის მიერ მისთვის შრომის წიგნაკის გადაცემის ფაქტის ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი, მოსარჩელეს სარჩელის განხილვის დროსაც რომ წარმოედგინა, იგი შედეგზე გავლენას მაინც ვერ იქონიებდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, ა. ლ-შვილს მიეცა ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღეში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად.

2007 წლის 8 ნოემბერს ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ხარვეზის შევსების შესახებ, სადაც გარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებისა და იმავე სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით, ა. ლ-შვილის მიერ 2007 წლის 8 ნოემბერს წარმოდგენილი განცხადებით სასამართლომ ხარვეზი მიიჩნია რა შევსებულად, კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე არასწორად მიიღო წარმოებაში. რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ მოთხოვნას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე, ჩათვალა, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLV თავში გათვალისწინებულ აპელაციის დასაშვებობის პირობებს, რის გამოც დატოვა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის მიზნით მისი სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად დარჩება განუხილველი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება მოპასუხის მიერ მისთვის შრომის წიგნაკის გადაცემის ფაქტის ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი, მოსარჩელეს სარჩელის განხილვის დროსაც რომ წარმოედგინა, იგი შედეგზე გავლენას მაინც ვერ იქონიებდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, ა. ლ-შვილს მიეცა ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღეში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოსადგენად.

2007 წლის 8 ნოემბერს ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ხარვეზის შევსების შესახებ, სადაც გარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმება.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის მიერ 2007 წლის 8 ნოემბერს წარმოდგენილი განცხადებით ხარვეზი მიიჩნია რა შევსებულად, კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე არასწორად მიიღო წარმოებაში, ვინაიდან მან არ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი წესით. რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ მოთხოვნას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე, ჩათვალა, რომ არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLV თავში გათვალისწინებულ აპელაციის დასაშვებობის პირობებს, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ გასაჩივრებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად, კანონიერ ძალაშია შესული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებული მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ა. ლ-შვილის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილების თაობაზე სწორად დატოვა განუხილველად.

რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განჩინების გასაჩივრებას, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მის განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით, ვინაიდან დადგენილია, რომ მითითებული განჩინება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიტანა ა. ლ-შვილის კერძო საჩივრის საფუძველზე, რომლითაც იგი მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას. აღნიშნული განჩინება საბოლოო იყო და იგი არ საჩივრდებოდა, ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დასახელებულ განჩინებაზე ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განუხილველად იქნა დატოვებული, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განჩინებით დარჩა უცვლელად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს

გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-252-511-08

13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჯ-მემ და ლ. ნ-კაიამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ონის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ონის კულტურის ცენტრის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მოსარჩელები მუშაობდნენ ონის საბავშვო ბიბლიოთეკაში, ლ. ჯ-მე - გამგედ, ყოველთვიურად 130 ლარის ანაზღაურებით, ხოლო ლ. ნ-კაია - ბიბლიოთეკარად, 125 ლარის ანაზღაურებით. მოსარჩელებმა მიიღეს ხელფასი მხოლოდ პირველი სამი თვის ნამუშევრისათვის და დარჩენილი სახელფასო დავალიანების მოთხოვნის შედეგად შეიტყვეს, რომ 2007 წლის 2 აპრილიდან ისინი თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელეთა მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი დროის განმავლობაში ხელფასის გადახდა ლ.ჯ-მისათვის 390 ლარის, ხოლო ლ. ნ-კაიასათვის - 375 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელებს სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დროულად ეცნობათ, ამდენად, სადავო დავალიანების გადახდის საფუძველი არ არსებობს.

ონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ონის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ონის კულტურის ცენტრს სოლიდარულად დაეკისრათ ლ.ჯ-მის სასარგებლოდ 390 ლარის, ხოლო ლ. ნ-კაიას სასარგებლოდ - 375 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენს რა 765 ლარს, აღნიშნული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილ 1000 ლარს არ აღემატება, რის გამოც უნდა დარჩეს განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინებით სწორად იქნა განმარტებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი, ვინაიდან წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება, თუმცა სასამართლოს რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობას არასწორად დააკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების გადახდა ონის კულტურის ცენტრთან ერთად სოლიდარულად, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ლ. ჯ-მე და ლ. ნ-კაია სამუშაოდან გათავისუფლდნენ ონის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ბრძანებით და კერძო საჩივრის ავტორს მოსარჩელეთა გათავისუფლებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამდენად, მისი სოლიდარული პასუხისმგებლობა უნდა გაუქმდეს. სააპელაციო პალატას ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომაში შეიყვანა და მატერიალური ზიანი მიაყენა აპელანტს, როდესაც მიუთითა, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება

გასაჩივრებელიყო სააპელაციო წესით. მხარის ზიანი გამოიხატა იმაში, რომ მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 23 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ონის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ონის კულტურის ცენტრს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელე ლ. ჯ-ძისათვის 390 ლარის, ლ. ნ-კაიასათვის კი - 375 ლარის, სულ - 765 ლარის გადახდა, რაც ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრით მოთხოვნის შესაბამისად მისი საგნის ღირებულება შეადგენს 765 ლარს, რასაც თავად კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს. აღნიშნული ოდენობა კი, კანონით დადგენილ ზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება, რის გამოც ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა ცნობილი დაუშვებლად.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არასწორად მიუთითა ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობაზე, რის გამოც მხარეს მიადგა მატერიალური ზიანის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 23 ლარი.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი, თუმცა გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოსარჩელეთა მიმართ სოლიდარული ვალდებულება არასწორად დააკისრა. მხარის დასახელებული არგუმენტით იგი ფაქტობრივად ითხოვს ონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმებას, რაც შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ ონის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში კი ხსენებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი - 23 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-305-562-07

27 მაისი, 2008 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა და უფასო ელექტროენერჯის მოხმარების ჩათვლა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 29 ოქტომბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. შ-იამ მოპასუხე სს «თელასის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ დარიცხული თანხის - 562 ლარისა და 32 თეთრის ჩამოწერა და 250 ლარის ოდენობით უფასო ელექტროენერჯის მოხმარების ჩათვლა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ დ. შ-ია თბილისში, ... მე-2 შესახვევის #11-ში მდებარე სახლში რეგისტრირებული აბონენტი. იგი აღნიშნულ სახლში არ ცხოვრობს 1995 წლიდან, რადგან სახლი ავარიული იყო. თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის 1995 წლის 23 აგვისტოს #11 გადაწყვეტილებით მას ნება დაერთო სახლის დანგრევაზე, რაც განახორციელა 1995 წელს. სს «თელასის» წარმომადგენლებმა 2003 წლის 17 სექტემბერს შეადგინეს ელ.მეურნეობის დათვალეირების აქტი #3 70314. მოგვიანებით მოსარჩელემ ამავე ტერიტორიაზე დროებით დადგა სახლი, შემდგომში მშენებლობის საწარმოებლად. ამასთან, მან მიმართა ბიზნეს-ცენტრს, რათა აღედგინათ ელექტროენერჯის მიწოდება.

მოსარჩელის მითითებით, ელექტროენერჯის მოხმარებისათვის დაწესებულ გადასახადებზე გარკვეული შეღავათით სარგებლობდა მისი დედა - მ. შ-ია, რომელსაც 2000 წლიდან 2003 წლის 22 აგვისტომდე ეკუთვნოდა უფასო ელექტროენერჯის მოხმარება ზაფხულში 75 კვტ.სთ-ის, ზამთრის პერიოდში - 125 კვტ.სთ-ის ოდენობით. აქედან გამომდინარე, მითითებულ პერიოდში დ. შ-იას ეკუთვნოდა უფასო ელექტროენერჯის მოხმარება თანხით 250 ლარის ოდენობით, რის შესაბამისადაც ითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე სს «თელასის» წარმომადგენელმა სარჩელი ცნო 562 ლარისა და 32 თეთრის ჩამოწერის მოთხოვნის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დ. შ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს ჩამოეწერა მოპასუხის მიერ დარიცხული 562.32 ლარი, 250 ლარის ჩათვლის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

იმის გათვალისწინებით, რომ 562 ლარისა და 32 თეთრის ჩამოწერის ნაწილში მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი ცნო, საქალაქო სასამართლომ აღნიშნული საკმარის საფუძლად მიიჩნია მითითებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა 250 ლარის ჩათვლას იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის დედას აწ გარდაცვლილ მ. შ-იას, როგორც სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდის მეუღლეს, ეკუთვნოდა სახელმწიფოს მიერ ელექტროენერჯის მოხმარებისათვის დაწესებული შეღავათი. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 მარტის #96 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ საქართველოს ენერჯისტიკის სუბსიდირებისათვის 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მოხმარებისათვის დაწესებული შეღავათების მისაღებად, ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებს უნდა წარედგინათ შესაბამისი ცნობები სს «თელასსა» და «თბილგაზში». მ. შ-ია გარდაიცვალა 2003 წლის 22 აგვისტოს. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2004 წლის 29 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. შ-ია წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩელეს, ვინაიდან გარკვეული შეღავათების მიღების სადავოდ გამხდარი უფლება ეკუთვნოდა არა მას, არამედ - მ. შ-იას, რომელმაც თავის სიცოცხლეში არ მოახდინა თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. მართალია, დ. შ-ია წარმოადგენს მ. შ-იას პირველი რიგის მემკვიდრეს, მაგრამ ეს არ აძლევდა მას სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვის საპროცესო უფლებაუნარიანობას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. მოცემულ შემთხვევაში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მოხმარებისათვის დაწესებული შეღავათების მიღების სადავოდ გამხდარი უფლება პირადი ხასიათის იყო, ვინაიდან მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა 250 ლარის ჩათვლაზე უარის თქმის ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული დ. შ-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს, ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში დ. შ-ია სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას მხოლოდ 250

ლარის ჩათვლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ე.ი. დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ იყო დასაშვები.

აღნიშნულ განჩინებაზე დ. შ-იამ იმავე სასამართლოში კერძო საჩივარი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა შემდეგი მოტივებით:

საქართველოს კანონმდებლობა მოსახლეობის დაუცველი ფენისათვის ითვალისწინებს გარკვეული სახის სოციალურ დახმარებებსა და შეღავათებს, რომელთაგან ერთ-ერთს განეკუთვნება განსაზღვრულ პირთა მიერ ელექტროენერჯის უფასო მოხმარება. ელექტროენერჯის მოხმარებისათვის დაწესებულ გადასახადებზე გარკვეული შეღავათით სარგებლობდა მისი დედა - მ. შ-ია, რის გამოც მას ეკუთვნოდა უფასო ელექტროენერჯის მოხმარება ზაფხულში - 75 კვტ.სთ, ზამთრის პერიოდში კი - 125 კვტ.სთ. სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა დავის საგანს.

რამდენადაც სს «თელასის» არამართლზომიერი ქმედებით დაირღვა მ. შ-იას კანონიერი უფლება, კერძო საჩივრის ავტორს, როგორც მის კანონისმიერ მემკვიდრეს, სრული უფლება ჰქონდა, აღნიშნულთან დაკავშირებით სარჩელი აღედგინა სს «თელასის» მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი, კერძოდ, რომ იგი საჩივრდებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრით, ამ გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღეში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დაეტოვებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. შ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. შ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს ჩამოეწერა მოპასუხის მიერ დარიცხული 562 ლარი და 32 თეთრი, ხოლო სარჩელი 250 ლარის ჩათვლის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება 562 ლარისა და 32 თეთრის ნაწილში არ გასაჩივრებულა, ხოლო 250 ლარის ჩათვლაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. შ-იამ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 250 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ვერც ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული მითითება ვერ შეცვლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შინაარსს, რომელიც იმპერატიული ნორმაა და მისი სხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. შ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-470-711-08

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული თანხის გადასახადისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 5 აპრილს მ. ო-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს „თელასის“ მიმართ და მოითხოვა უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის ნოემბერში მან მიიღო სს „თელასის“ ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი და ქვითარი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 886 ლარი. ამავე დროს, სს „თელასმა“ მოსარჩელეს შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ბინაში არავინ ცხოვრობდა. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მან სცადა სს „თელასის“ ადმინისტრაციასთან ვითარების გარკვევა, სადაც მოსთხოვეს სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ იგი მითითებულ ბინაში არ ცხოვრობდა. მოსარჩელემ წარადგინა აღნიშნული დოკუმენტი, მაგრამ სს „თელასმა“ მის მიერ გამოთხოვილი ცნობა მხედველობაში არ მიიღო. მას შემდეგ მოსარჩელემ სს „თელასისაგან“ მიიღო სხვადასხვა ჯარიმების აქტები და ქვითრები. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ სს „თელასმა“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მარეხ ოთანიშვილის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე. 2007 წლის 10 იანვრის სასამართლოს დადგენილებით შეწყდა საქმის წარმოება მ. ო-შვილის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სს „თელასის“ მიერ მისთვის უკანონოდ დარიცხული 1901 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ო-შვილის სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ო-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით მ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

აპელანტმა სააპელაციო საჩივრის ღირებულება განსაზღვრა 886 ლარის ოდენობით. შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით დადგენილ 1000 ლარს არ აღემატება, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ო-შვილმა

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით გაუგებარი მიზეზების გამო ბინის ყიდვიდან 1999 წლიდან 2002 წლის მარტის თვემდე ამ ბინაში ცხოვრების პერიოდში უკანონოდ დაერიცხა 751 ლარი და 52 თეთრი. ამის საპასუხოდ წარადგინა ცნობა ნოტარიუსით დამტკიცებული, ხუთი მეზობლის ხელმოწერით, რომლებიც ადასტურებენ მისი არ ცხოვრების ფაქტს აღნიშნულ მისამართზე. აგრეთვე, წარადგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ ბინა, რომელშიც მანამდე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად (... #68) გაყიდა 2002 წელს. 2002 წლის 21 მაისს მოუვიდა ერთჯერადი აქტით გამოწერილი გაუგებარი ჯარიმა 153 ლარისა და 83 თეთრის ოდენობით. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ხელი არავითარ აქტზე მოუწერია და სს «თელასი» სრულიად უკანონოდ ედავება 1005 ლარის გადახდას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ო-შვილმა სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ს/ს «თელასის» მიერ უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა, დავის საგნის ფასი თავად განსაზღვრა და მიუთითა 1901 ლარზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ო-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მ. ო-შვილი გათავისუფლდა სს «თელასის» 2006 წლის 30 ნოემბრის ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი #113700-ის საფუძველზე დარიცხული 779 ლარისა და 90 თეთრის გადახდის ვალდებულებისაგან და ასევე 2007 წლის 16 იანვრის ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი #142966-ის საფუძველზე დარიცხული 116 ლარისა და 45 თეთრის გადახდის ვალდებულებისაგან. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული

განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ო-შვილმა და მოითხოვა ს/ს «თელასის» მიერ უკანონოდ დარიცხული თანხის - 886 ლარის ჩამოწერა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით მ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ო-შვილმა სააპელაციო საჩივრის ღირებულება განსაზღვრა 886 ლარით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად რადგან, განსახილველ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს, ხოლო მ. ო-შვილის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ო-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი

განჩინება

#ას-397-645-08

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 2 ივნისს ზ. ზ-შვილმა სარჩელით მიმართა ახალიციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე დ. ნ-ძის მიმართ და მოითხოვა ახალიციხის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე დ. ნ-ძის ბავშვის აღსაზრდელად დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი განთავისუფლდა ახალიციხის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე დ. ნ-ძის ბავშვის აღსაზრდელად დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა დ. ნ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით დ. ნ-ძის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ნ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ზ. ზ-შვილი განთავისუფლდა ყოველთვიურად ალიმენტის - 20 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო მოცემულ შემთხვევაში დავა ქონებრივ-

სამართლებრივია, შესაბამისად, სააპელაციო საგნის ღირებულება სსკ-ის 41-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სამი წლის განმავლობაში შეადგენდა 720 (20X36) ლარს, რაც 1000 ლარზე ნაკლებია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც დატოვა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა დ. ნ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ მის პროცესუალურ მხარეზე და დაედგინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური კანონიერება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და კანონით. დავის საგნის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40-41-ე მუხლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის დავის საგნის ფასი ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება - არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი განთავისუფლდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე დ. ნ-ძის ბავშვის აღსაზრდელად 20 ლარის ოდენობით დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან.

ასევე დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ქონებრივ-სამართლებრივია, რის გამოც სააპელაციო საგნის ღირებულება სსკ-ის 41-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სამი წლის განმავლობაში შეადგენს 720 (20X36) ლარს, რაც არ აღემატება 1000 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სააპელაციო საჩივარი მართებულად მიიჩნია დაუშვებლად.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ მის პროცესუალურ მხარეზე და დაედგინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური კანონიერება. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელა არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა კი განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ნ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ნ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-532-765-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოპასუხე ინდემწარმე «ს. შ-ოვის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 936 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება, შემდეგი საფუძვლებით:

2007 წლის 27 აგვისტოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და ინდემწარმე «ს. შ-ოვის» შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის თანახმად, მოპასუხემ აიღო ვალდებულება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში - 2007 წლის 22 სექტემბრამდე - დაესრულებინა და სააგენტოსათვის გადაეცა თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე, ყოფილი ქორწინების სასახლის პროექტი. ხელშეკრულების შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო 2007 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს, ვალდებულების შესასრულებლად განუსაზღვრა დამატებითი ვადა და განუმარტა, რომ თუ 15 ოქტომბრამდე არ წარადგენდა პროექტის საბოლოო ვარიანტს, ხელშეკრულების მე-8 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის თანახმად, მოშლიდა ხელშეკრულებას და მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. ს. შ-ოვმა 12 ოქტომბერს მოსარჩელეს წარუდგინა შენობის პროექტი, რომელიც არ იყო სრულყოფილი და არ პასუხობდა ხელშეკრულების მოთხოვნებს, კერძოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ მოპასუხეს პროექტზე საავტორო უფლება უნდა გადაეცა მოსარჩელისათვის. ამის მიუხედავად პროექტზე ხელს აწერდნენ: შპს «ინჟინერის» დირექტორი ვ. ძ-ია, ჯ. ვ-ძე, კ-ძე, კ-ია, შპს «ვექტორის» თანამშრომლები: კ-ძე, ტ-ძე, გ-იანი და სხვა. თავად ს. შ-ოვის ხელმოწერა პროექტზე არ იყო, სუბკონტრაქტორების შესახებ მას მოსარჩელისათვის არ უცნობებია. გარდა ამისა, პროექტი იყო არასრული, იგი არ შეიცავდა ინფორმაციას ფასადის მოპირკეთების შესახებ, მასში გათვალისწინებული არ იყო ხარჯთაღრიცხვა, წარდგენილი იყო მხოლოდ კრებსითი ხარჯთაღრიცხვა და არა ლოკალური.

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება (საავტორო ჰონორარი) შეადგენდა 13 000 ლარს. ამასთან, ხელშეკრულების მე-8 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლო გადააჭარბებდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 7%-ს (910 ლარს), მეორე მხარეს უფლება ჰქონდა, ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ უარი განაცხადა მოპასუხის მიერ წარდგენილ პროექტზე და 15 ოქტომბერს პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნით წერილობით მიმართა ს. შ-ოვს. მოპასუხეს მოთხოვნილი თანხა არ გადაუხდია, პირიქით, იგი ითხოვდა ჰონორარის - 13 000 ლარის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა, ინდემწარმე «ს. შ-ოვის» სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 936 ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა 100 ლარი სარჩელის აღმერისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. შ-ოვმა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში - 22 სექტემბრამდე და არც დამატებით განსაზღვრულ ვადაში - 15 ოქტომბრამდე მოსარჩელეს არ წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პროექტი. მოსარჩელემ ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით - დადგენილ ვადაში მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, რამდენადაც პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 7%-ს. მოცემულ შემთხვევაში კი 936 ლარი წარმოადგენდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის მინიმალურ ოდენობას, რაც ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ინდემწარმე «ს. შ-ოვმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ინდემწარმე «ს. შ-ოვის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი 936 ლარით იყო განსაზღვრული, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდემწარმე «ს. შ-ოვის» სააპელაციო საჩივარი კანონის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა და შესაბამისად, არ იყო დასაშვები.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების გამოტანის შემდგომ ინდემწარმე «ს. შ-ოვმა» იმავე სასამართლოში დაუხსტებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის - 13 000 ლარისა და ჰონორარის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით ანაზღაურების მის სასარგებლოდ დაკისრება.

იმავდროულად, ინდემწარმე «ს. შ-ოვმა» სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მის მიერ წარდგენილი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა მოითხოვა, შემდეგი მოტივებით:

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დავის საგნის ღირებულების განსაზღვრასთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელის სასარგებლოდ მისთვის დაკისრებულ 936 ლართან ერთად მხედველობაში უნდა მიეღო 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი, რისი გადახდის ვალდებულებაც მასვე დაეკისრა, მით უფრო, როცა ს. შ-ოვი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ორივე თანხასთან მიმართებაში ხდიდა სადავოდ.

გარდა ამისა, მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ დღეის მდგომარეობით ს. შ-ოვის მოთხოვნა არ უკავშირდებოდა მარტოოდენ საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას. ინდემწარმე «ს. შ-ოვის» მიერ წარდგენილ დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში ასახული იყო მისი დაზუსტებული მოთხოვნა - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის 13 000 ლარის დაკისრება, რაც უკვე აღემატებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევისათვის დადგენილ ღირებულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ინდემწარმე «ს. შ-ოვის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სარჩელის დავის საგანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 936 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა, ინდემწარმე «ს. შ-ოვის» სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სასარგებლოდ 936 ლარის გადახდა დაეკისრა. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინდემწარმე «ს. შ-ოვმა». შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენს 936 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით მისთვის მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის დაკისრება ზრდის სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულებას 1036 ლარამდე. დავის საგანში, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული 365-ე მუხლი მიუთითებს, იგულისხმება სარჩელის დავის საგანი და არა ამ დავის საგანზე გამოტანილი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლო ხარჯები.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერც ის გარემოება გახდება, რომ ინდემწარმე «ს. შ-ოვის» მიერ წარდგენილია დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, სადაც მას სხვადასხვა მოთხოვნები აქვს დაფიქსირებული, რომელთა ოდენობა 1000 ლარს აღემატება. აღნიშნული საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დაზუსტებად, ანუ ამ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების დაკონკრეტებად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულ საჩივარში წარდგენილია მოპასუხის დამოუკიდებელი მოთხოვნები მოსარჩელის მიმართ, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, რაც მოპასუხის დამოუკიდებელი სარჩელის საგანი შეიძლება იყოს და არა სააპელაციო საჩივრის საგანი, ამასთან, აღნიშნული დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი წარდგენილია სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის გამოყენების წინაპირობის გასარკვევად გადაწყვეტია არა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით წარდგენილი მოთხოვნის ოდენობა, არამედ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული სასარჩელო მოთხოვნის ღირებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში 1000 ლარს არ აღემატება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ინდემწარმე «ს. შ-ოვის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება; სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-608-834-08 15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. წ-ურმა მოპასუხე სს «თელასის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ შედგენილი ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 3000 ლარის გადახდის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 30 იანვარს სს «თელასის» წარმომადგენლებმა შეადგინეს ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი, რის საფუძველზეც ო. წ-ურს დააკისრეს 800 ლარის გადახდა. არც შემოწმებამდე და არც შემოწმების შემდეგ მოპასუხის წარმომადგენლებს მოსარჩელისათვის არ მიუშართავთ. აქტი შედგენილ იქნა ვ. წ-ურის დაუსწრებლად. იმ დროისათვის ეზოში იმყოფებოდნენ მეზობლები, რომლებმაც ვერ გაარკვიეს რას აკეთებდნენ სს «თელასის» თანამშრომლები მრიცხველთან. მეზობლებისათვის მათ არაფერი უკითხავთ. აღნიშნულ მომენტში მოსარჩელე სახლში იმყოფებოდა, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ ელექტროენერგია გამორთული იყო. მრიცხველთან მას დახვდა წერილი, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ მიმართა სს «თელასს». მოპასუხე დაწესებულებაში აუხსნეს, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ელექტროენერგიის დატაცებას. განცხადებაზე, რომელიც მოსარჩელემ სს «თელასში» დატოვა, დღემდე პასუხი არ მიუღია.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ უფლება ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი მის დაუსწრებლად გაეფორმებინათ, აღნიშნული შემთხვევა აქტის კანონდარღვევით შედგენაზე მიუთითებდა. ამგვარი სახით შემოწმების განხორციელებას კი მოსარჩელე მისი ღირსების შელახვად მიიჩნევდა.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის სხდომაზე მოსარჩელემ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარი განაცხადა, რის გამოც სასამართლომ დასახელებულ ნაწილში საქმის წარმოება შეწყვიტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ო. წ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სს «თელასის» მიერ 2007 წლის 30 იანვრის ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტი შედგენილი იყო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 სექტემბრის #15 დადგენილებით დამტკიცებული სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერგიის დარიცხვის მეთოდის დარღვევით. სს «თელასის» თანამშრომლებს მოცემულ შემთხვევაში მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ. შემოწმების დროს მათ შეეძლოთ მოსარჩელის მეზობლების მეშვეობით, რომლებიც იქვე იმყოფებოდნენ, დამრღვევი აბონენტის ვინაობა გაერკვიათ და დარღვევის აღმოჩენისთანავე აბონენტი დაესწროთ. მოპასუხის წარმომადგენლები თავად მიუთითებდნენ, რომ მოსარჩელის მისამართზე იმ

დროს ქსელი მოუწესრიგებელი იყო და ადვილად შეიძლებოდა ელექტროენერჯის დატაცება. მოქმედი წესის თანახმად, სს «თელასის» თანამშრომლები აქტს ადგილზე აფორმებდნენ, მოცემულ შემთხვევაში დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შემოწმება დილის საათებში განხორციელდა, ხოლო აქტი დღის მეორე ნახევარში შედგა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები სადავო აქტის კანონდარღვევით შედგენაზე მიუთითებდა, რაც თავის მხრივ ამ აქტის ბათილად ცნობას განაპირობებდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «თელასმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ სადავო აქტი კანონშესაბამოდ მხოლოდ იმის გამო მიიჩნია, რომ იგი შედგენილ იქნა არა უშუალოდ დარღვევის აღმოჩენისთანავე, არამედ მოგვიანებით, დამრღვევი აბონენტის ვინაობის დადგენის შემდეგ. ამასთან, აღნიშნული აქტის შედგენას თავად აბონენტი არ ესწრებოდა. მოცემულ შემთხვევაში არსებითი იყო ო. წ-ურის მიერ ელექტროენერჯის რეალურად დატაცების ფაქტის გამორკვევა, რაც საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლით უნდა განხორციელებულიყო. ასეთს საქალაქო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

მართალია, სადავო აქტის საფუძველზე აბონენტს 873.3 ლარი დაერიცხა, მაგრამ აპელანტის აზრით, ამავე საქმეში არსებული აღიარებითი სარჩელის მიხედვით, ო. წ-ურს უფლება მიენიჭა აღიარებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით მომავალში თავისი იურიდიული ინტერესის შესაბამისი სარჩელი აღედრა, რომლის ღირებულება შესაძლებელია 1000 ლარზე მეტი ყოფილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინებით სს «თელასის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეეხებოდა სს «თელასის» 2007 წლის 30 იანვრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების #138764 აქტის ბათილად ცნობას, რომლის საფუძველზე აბონენტ ო. წ-ურს დაერიცხა 734 ლარისა და 69 თეთრის გადახდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ჯარიმის სახით გადაიხდა 800 ლარი.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მსჯელობას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხთან მიმართებაში, რამდენადაც სს «თელასის» 2007 წლის 30 იანვრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს პრეიუდიციული ძალა ექნებოდა კონკრეტულად ამ აქტით დარიცხულ - 734 ლარსა და 69 თეთრთან დაკავშირებით აღძრულ სავარაუდო სარჩელზე, შესაბამისად, სარჩელის ღირებულება 1000 ლარზე მეტი ვერ იქნებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს «თელასის» სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის დისპოზიციით დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, კერძოდ, სადავო შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატებოდა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ იყო დასაშვები.

დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა სს «თელასმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, შემდეგი მოტივებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სარჩელის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა, რის გამოც იგი აღიარებით სარჩელს წარმოადგენდა. კანონის ზემოაღნიშნული ნორმა დავის საგნის ზღვრულ ოდენობას ადგენს ქონებრივ-სამართლებრივ დავაში, აღიარებითი სარჩელი კი ასეთ დავათა კატეგორიას არ განეკუთვნება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ, არამართებული იყო.

კერძო საჩივრის ავტორი დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება პრეიუდიციულ მნიშვნელობას მხოლოდ ბათილად ცნობილი აქტით დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით აღძრული სავარაუდო სარჩელის მიმართ შეიძენდა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა მოსარჩელეს დასახელებულ აქტთან დაკავშირებით სხვა სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას არ უზღუდავდა, რა დროსაც სარჩელის ღირებულება შესაძლოა 1000 ლარზე მეტი ყოფილიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «თელასის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა სს «თელასის» მიერ აბონენტ ო. წ-ურის მიმართ შედგენილი 2007 წლის 30 იანვრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა მოსარჩელის აღნიშნულ მოთხოვნაზე და 2008 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი. დადგენილია და სადავო არ არის, რომ დასახელებული აქტის საფუძველზე აბონენტისათვის დარიცხული თანხის ოდენობა 1000 ლარს არ აღემატება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ო. წ-ურის სარჩელის აღიარებითი ხასიათის გამო იგი ქონებრივ დავას არ განეკუთვნება და მის მიმართ გამოირიცხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის გავრცელება. მოცემულ შემთხვევაში დავა სწორედ ქონებრივი ხასიათისაა, სს «თელასის» 2007 წლის 30 იანვრის აქტს მოსარჩელის არაქონებრივი უფლებები კი არ განუსაზღვრავს, არამედ მის საფუძველზე ო. წ-ურს განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს «თელასის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება; სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-590-817-08

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-შვილის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა - 2008 წლის 1 თებერვლიდან მ. მ-შვილს არსრულწლოვანი შვილის - 2001 წლის 30 ივლისს დაბადებული ნ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენს 600 ლარს, აღნიშნული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილ 1000 ლარს არ აღემატება, რის გამოც უნდა დარჩეს განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი გარემოებებზე მითითებით:

პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რადგანაც სარჩელში მითითებული გარემოებები არ ამართლებს ვ. ჩ-ელის მოთხოვნას. საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მ. მ-შვილი საჭიროებს მკურნალობას და ამასთან, არის დროებით უმუშევარი, იმყოფება პენსიონერი დედის კმაყოფაზე, რის გამოც ვერ შეძლებს ალიმენტის სახით დაკისრებული 50 ლარის გადახდას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით და არასწორად მიიჩნია მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. მ-შვილს 2008 წლის 1 თებერვლიდან მ. მ-შვილს არასრულწლოვანი შვილის - 2001 წლის 30 ივლისს დაბადებული ნ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა განისაზღვრება - ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით, მოცემულ შემთხვევაში კი დავის საგნის ფასი შეადგენს 600 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრით მოთხოვნის შესაბამისად მისი საგნის ღირებულება შეადგენს 600 ლარს, აღნიშნული ოდენობა კი, კანონით დადგენილ ზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება, რის გამოც მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა ცნობილი დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. მ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-737-953-08

27 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: განქორწინება, ქონების გაყოფა, ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ნ-ოვის მიმართ მოპასუხესთან განქორწინების, ქ. თბილისში, ... მე-3 მკ/რ-ის პირველ კვარტალში მდებარე #35 ბინის 1/2-ის მიკუთვნებისა და არასრულწლოვანი შვილების - ს. და ა. ნ-ოვების სარჩენად ალიმენტის სახით 100-100 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2000 წლის 26 თებერვლიდან მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ ორი შვილი - ს. და ა. ნ-ოვები. დაძაბული ურთიერთობის გამო მხარეებს შორის ფაქტობრივად ქორწინება შეწყდა. ა. ნ-ოვი აიძულებს მოსარჩელეს

არასრულწლოვან შვილებთან ერთად დატოვოს თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ბინა და საცხოვრებლად დაბრუნდეს მშობლებთან. მოპასუხე მუშაობს რესტორან «თეთრ სახლში» და მისი ყოველთვიური შემოსავალი 500-600 ლარს შეადგენს.

ა. ნ-ოვმა სარჩელი განქორწინების ნაწილში ცნო, ხოლო თანამესაკუთრედ ცნობისა და ალიმენტის დაკისრების ნაწილში მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ნ. ბ-შვილსა და ა. ნ-ოვს შორის 2000 წლის 26 თებერვალს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თბილისის #1 სპეციალიზირებული განყოფილების მიერ სააქტო ჩანაწერით #მნ 173144 რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ნ. ბ-შვილი ცნობილ იქნა ა. ნ-ოვის სახელზე რიცხული სადავო უძრავი ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ, მოპასუხეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა მისი არასრულწლოვანი შვილების რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად თოთოეულის სასარგებლოდ 50 ლარის ოდენობით 2007 წლის 8 ნოემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე, ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევრის - 150 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის გადახდა, ა. ნ-ოვს ასევე დაეკისრა განქორწინების მოწმობის გაცემის ბაჟი 45 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ნ-ოვმა, მოითხოვა დაკისრებული 7 თვის ალიმენტის განაწილვადება მომდევნო თვეებზე, ხოლო სახელმწიფო ბაჟის - 200 ლარის დაკისრებისა და განქორწინების მოწმობის მისაღებად დადგენილი ბაჟის - 45 ლარის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ ა. ნ-ოვი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო განქორწინების მოწმობის გაცემისათვის დადგენილი ბაჟის მისთვის დაკისრება მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ უთხოვია, რის გამოც სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებით ა. ნ-ოვის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე-374-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას დაადგინა, რომ ა. ნ-ოვის მოთხოვნას წარმოადგენდა გადაუხდელი ალიმენტის - 700 ლარის 18 თვეზე განაწილება ძირითად თანხასთან ერთად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება და განქორწინების მოწმობის გასაცემი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ალიმენტის - 700 ლარის გადახდის განაწილვადების საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, არამედ განცხადებას გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების თაობაზე, რაც განხილულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ღირებულებაა 245 ლარი, საიდანაც 200 ლარი სახელმწიფო ბაჟია, ხოლო 45 ლარი - განქორწინების მოწმობის გადასახადი. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მისთვის სახელმწიფო ბაჟისა და განქორწინების მოწმობის მისაღებად დაწესებული ბაჟის დაკისრების ნაწილში ა. ნ-ოვმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: საქალაქო სასამართლომ აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრებისას არ გაითვალისწინა, რომ ა. ნ-ოვი დროებით უმუშევარია, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და 2007 წლის აგვისტოდან იღებს ფულად დახმარებას. ამდენად, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის «მ» პუნქტის საფუძველზე, იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესაწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ნ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენს 245 ლარს, რასაც თავად კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს. აღნიშნული ოდენობა კანონით დადგენილ ზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება, რის გამოც ა. ნ-ოვის სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა ცნობილი დაუშვებლად.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ იგი სოციალურად დაუცველ ოჯახთა ბაზაშია გაწევრიანებული, საიდანაც იღებს შემწეობას და,

«სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის «მ» ქვეუნიქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პირობებში მხარის ზემოხსენებული მოთხოვნის კანონიერებაზე ვერ იმსჯელებს, რადგან დასახელებული გარემოება წარმოადგენდა ა. ნ-იანის სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს და მხოლოდ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემთხვევაში აღნიშნული გახდებოდა სააპელაციო და არა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და
და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ნ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-755-971-08

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წის 27 მარტს ჯ. თ-იანმა სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ლ. ო-იანის მიმართ პირუტყვის საფასურის გადახდევინებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, მოითხოვა ზეპირი გარიგების შესაბამისად, ორი სული დეკეულის საფასურის - 500 ლარის, ასევე, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 495 ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების - 100 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. თ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. თ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. თ-იანმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ადვოკატის მომსახურების 100 ლარის ოდენობით გადახდილი თანხა არ გაითვალისწინა და ხელოვნურად შეამცირა სარჩელის ფასი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და კანონით. დავის საგნის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40-41-ე მუხლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «ა» ქვეუნიქტის თანახმად, სარჩელის დავის საგნის ფასი ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება - გადასახდელი თანხით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ჯ. თ-იანის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ორი დეკულის ღირებულების - 500 ლარისა და ზიანის - 495 ლარის ანაზღაურება, რაც ერთად შეადგენდა 995 ლარს და რაც არ აღემატება 1000 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სააპელაციო საჩივარი მართებულად მიიჩნია დაუშვებლად.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ადვოკატის მომსახურების 100 ლარის ოდენობით გადახდილი თანხა არ გაითვალისწინა და ხელოვნურად შეამცირა სარჩელის ფასი. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულებაა 995 ლარი, ხოლო კერძო საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 100 ლარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს პროცესის ხარჯებს, შესაბამისად, იგი დავის საგნის ღირებულებაში ვერ ჩაითვლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ჯ. თ-იანის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. თ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-627-851-08 19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ტ. ბ-ელმა მოპასუხე ჟ. ფ-შვილის მიმართ და მოითხოვა გარდაცვლილი გ. ფ-შვილის უფლებამონაცვლე პირების დადგენა, ჟ., გ. და ნ. ფ-შვილების უფლებამონაცვლეებად ცნობა და მათთვის სოლიდარულად 2644 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განჩინება და გ. ფ-შვილს დაეკისრა 2644 ლარის გადახდა ტ. ბ-ელის სასარგებლოდ. გ. ფ-შვილი გარდაიცვალა, რის გამოც ხელი ეშლება კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღსრულებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ იგი არა მარტო გ. ფ-შვილისაგან ითხოვდა თანხის დაკისრებას, არამედ მისი მეუღლის - ჟ. ფ-შვილისაგანაც.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეების თვითნებობის გამო საქმე გაჭიანურდა სასამართლო ინსტანციებში. ამ ხნის მანძილზე კედლის აშენებისათვის საჭირო თანხა გაიზარდა, რის გამოც მოითხოვა მოპასუხეებისათვის 3590 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ტ. ბ-ელის სარჩელი მოპასუხეების - ნ. ფ-შვილისა და დ. ფ-შვილის მიმართ უფლებამონაცვლედ ცნობისა და თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ცნობილ იქნენ ნ. და დ. ფ-შვილები გარდაცვლილ გ. ფ-შვილის უფლებამონაცვლედ, ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე # 2\107 და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის საქმეზე #28\3087-04 გამოტანილ განჩინებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნაცვლად დადგინდა ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რომელშიც მოვალე გ. ფ-შვილის ნაცვლად მითითებული იქნებოდნენ მისი უფლებამონაცვლეები - ნ. და დ. ფ-შვილები. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხეებისათვის 3590 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ბ-ელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის განჩინებით ტ. ბ-ელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ტ. ბ-ელმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დავის საგნის ღირებულების გამო. მოცემულ საქმეზე არსებობს ახალი გარემოება, კერძოდ, ექსპერტის დასკვნა, რის საფუძველზეც დადგენილია, რომ მოცემულ პერიოდში ახალი დამოუკიდებელი კედლის აშენებისათვის საჭიროა 4125 ლარი და 9 თეთრი, რაც ადასტურებს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება არის არა 946 ლარი, არამედ 1540 ლარი და 90 თეთრი. აღნიშნული გარემოება სასამართლომ არ გაითვლია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ტ. ბ-ელის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ამავე კოდექსის 365-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის წინაპირობებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ერთ-ერთი ასეთი წინაპირობაა დავის საგნის ღირებულება სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება სააპელაციო სასამართლოში უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

დადგენილია, რომ ტ. ბ-ელმა 2005 წლის 28 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გარდაცვლილ გ. ფ-შვილის უფლებამონაცვლე პირების დადგენა და მათთვის სოლიდარულად 2644 ლარის დაკისრება იმ საფუძველზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის #28\3087-04 საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ფ-შვილს დაეკისრა 2644 ლარის გადახდა, თუმცა, მისი გარდაცვალების გამო, იგი ვერ აღსრულდება.

მოგვიანებით, ტ. ბ-ელმა დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეებისათვის არა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი 2644 ლარის დაკისრება, არამედ 3590 ლარის დაკისრება იმ საფუძველზე, რომ გაჭიანურდა რა გადაწყვეტილების აღსრულება, ამ ხნის მანძილზე გაიზარდა კედლის აშენებისათვის საჭირო თანხის ოდენობა. ამასთან ერთად, დაზუსტებული სარჩელის დასაბუთების მიზნით, ტ. ბ-ელის მიერ წარმოდგენილ იქნა 2006 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით, ტ. ბ-ელის სარჩელი, გარდაცვლილ გ. ფ-შვილის უფლებამონაცვლეების დადგენის ნაწილში დაკმაყოფილდა, რაც გულისხმობს იმას, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი 2644 ლარის გადახდა დაეკისრათ გარდაცვლილ გ. ფ-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობილ პირებს - ნ. ფ-შვილსა და დ. ფ-შვილს. რაც შეეხება ტ. ბ-ელის მეორე მოთხოვნას, კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი 2644 ლარის ნაცვლად, მოპასუხეებისათვის 3590 ლარის დაკისრებას, არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ გასაჩივრებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი 2644 ლარის ნაცვლად, მოპასუხეებისათვის 3590 ლარის დაკისრების ნაწილში. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ტ. ბ-ელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მოპასუხეებისათვის დამატებით (3590-2644) 946 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ტ. ბ-ელის სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის დადგენილ მოთხოვნას დავის საგნის ღირებულების გამო, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა ტ. ბ-ელის სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ტ. ბ-ელის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

#ას-791-1006-08 24 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ივნისს ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა პ. ს-იამ მოპასუხეების - ვ., ლ., რ. და დ. კ-ავების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 800 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ., დ., ლ. და რ. კ-ავებმა ჩხოროწყუს სასაფლავოს მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთს შემოავლეს მავთულბადე და გარე ხედზე გაიყვანეს ერთ მეტრომდე სიღრმის ორმო, რომელიც იყო დაუცველი. 2007 წლის 20 მარტს დასახელებულ ორმომი ჩავარდა მოსარჩელის ძროხა, რომელიც ამოიყვანეს და დაკლეს, რადგან მაინც კვდებოდა. აღნიშნული ძროხა იყო მოსარჩელის ოჯახის მარჩენალი, რომლის დაღუპვითაც მოსარჩელეს 800 ლარის ოდენობით ზარალი მიადგა.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით პ. ს-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ძროხა თხრილში ჩავარდნის გამო დაზიანდა და დაკლეს. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ძროხის სუფთა ხორცი, დაახლოებით 60 კილოგრამი, პ. ს-იამ გამყიდველს გადასცა დაახლოებით 150 ლარად. რაიონულმა სასამართლომ ასევე, დადგინდად მიიჩნია, რომ ძროხის დაზიანებაში მოპასუხეების ბრალი არ იკვეთებოდა. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ იგი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს სხვას ზიანს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარდგენილი მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის მიხედვით უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება სხვა სახის მტკიცებულებებით დადასტურდეს. რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა გარემოებებს, რომლებზედაც თავის მოთხოვნას ამყარებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ს-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებით პ. ს-იას სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში პ. ს-ია სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც მის სარჩელს მატერიალური ზიანის 800 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ ეთქვა უარი, ე.ი. დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და არ იყო დასაშვები.

აღნიშნულ განჩინება პ. ს-იამ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა შემდეგი მოტივებით:

მოპასუხეთა გაუფრთხილებლობითმა მოქმედებამ გამოიწვია პ. ს-იას ძროხის ორმოში ჩავარდნა, რასაც მოჰყვა ძროხის სიკვდილი. შესაბამისად, ეს არის მოპასუხეებისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში იმის მითითება, რომ დაუდგენელია, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული სიღრმის ორმოში ძროხის დახრჩობა, არის არასწორი. ამასთან, სინამდვილეში მისი ძროხის (რომელიც იყო მაკედ) ღირებულება 1300 ლარით განისაზღვრებოდა და არა 800 ლარით, ხოლო აღნიშნული თანხა მან დააფიქსირა კეთილმეზობლური ურთიერთობიდან გამომდინარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ პ. ს-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში პ. ს-იას სარჩელის დავის საგანს შეადგენდა 800 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ს-იამ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 800 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ, როგორც კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში დადგენილი დავის საგნის ღირებულების 1000 ლარის ოდენობით განსაზღვრა არასწორია და დავის საგნის ღირებულება სინამდვილეში 1300 ლარს შეადგენს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულება განსაზღვრა 800 ლარით, რაც სააპელაციო სასამართლოსთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებისთვის მხედველობაში მისაღებად სავალდებულო იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. პ. ს-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინება

#ას-914-1122-08

8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების შეცვლა, მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-მისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების შეცვლის, მესაკუთრედ ცნობისა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1997 წლის 31 მარტს მოსარჩელესა და მ. კ-მეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ლ. მ-იამ შეიძინა მ.კ-მის მიერ პრივატიზებული მაღაზიის 1/2. ხელშეკრულება გაფორმდა სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და საკუთრება რეგისტრირებულ იქნა ტექნიურში. მოსარჩელე შეძენილ უძრავ ქონებას ფლობდა 1997 წლიდან 2007 წლამდე. ლ. მ-იამ, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში გაჩენილი ხანძრის გამო, საკუთრების უფლების ხელახალი რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და შეიტყო, რომ მის მიერ შეძენილი მაღაზია მ. კ-მის სახელზე იყო რეგისტრირებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოა, რადგანაც დარღვეულია კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის პირველი, მეორე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეჩვიდმეტე, ოცდამეთერთმეტე და ოცდამეთექვსმეტე მუხლების მოთხოვნები.

მ. კ-მემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: საქმის წარმოება უნდა შეწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლს «ბ» პუნქტის საფუძველზე, რადგანაც საქმეზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საკითხი არ არის სამტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლს თანახმად, რადგანაც მოსარჩელის მოთხოვნას არ წარმოადგენს საქმის წარმოების განახლება. უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა, ვინაიდან ლ. მ-ია არასოდეს ყოფილა სადავო ფართის მესაკუთრე, ხოლო მხარეს მტკიცებულებები არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის შესაბამისად. ასევე ხანდაზმულია სასარჩელო მოთხოვნა, რადგან 1997 წლის 31 მარტიდან, ანუ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან გასულია როგორც საერთო, ისე - სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა ასევე არ ცნო სარჩელი და განაცხადა, რომ სადავო ქონებაზე მ. კ-მის საკუთრება რეგისტრირებულ იქნა 2007 წლის 18 დეკემბრის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მ. კ-მის მიერ წარდგენილი ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. თავად სარეგისტრაციო სამსახური, ტექნიურის არქივის განადგურების გამო, მოკლებულია მანამდე არსებული რეგისტრირებული მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობას.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. მ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და დავის საგნის ფასი განსაზღვრა 100 ლარით. საქმეში წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ დავის საგნის ღირებულება შეადგენს 1000 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეესაბამება ამავე კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაზე ლ. მ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 365-ე მუხლი, რის გამოც ასევე არასწორად იქნა განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება. დასახელებული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, სასამართლოს დავის საგნის ღირებულება უნდა დაედგინა გადაწყვეტილების გასაჩივრების დროისათვის არსებული დავის საგნის საბაზრო ღირებულების შესაბამისად და არა საქმეში წარმოდგენილი 1997 წლის ხელშეკრულების საფუძველზე. სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «კ» პუნქტით ისეთი არაქონებრივი მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრად, როგორცაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანა. სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სასარჩელო განცხადებაში დავის საგნის ფასად მითითებულია 100 ლარი. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ შედეგს. სასამართლოს ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის საგნის ფასი უნდა დაედგინა სადავო ნივთის საბაზრო ღირებულებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. მ-იას კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში, ლ. მ-იამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი ადგენს დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესს. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის «ი» ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელისა (სააპელაციო საჩივრის) განისაზღვრება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ლ.მ-იას სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს უძრავი ნივთის შესაკუთრებელი ცნობა, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რის გამოც, დავის საგნის ფასი სასამართლოს უნდა განესაზღვრა სწორედ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით დავის საგნის ღირებულება შეადგენს 1000 ლარს, რადგანაც დასახელებული ხელშეკრულება წარმოადგენს არა სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების განმსაზღვრელ დოკუმენტს, არამედ მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე შეთანხმებულ საზღაურს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ნასყიდობის საგნის რეალურ ღირებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე მხარისათვის უნდა დაედგინა ხარვეზი და დაევალებინა, დავის საგნის ფასის განსაზღვრის მიზნით, სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების განმსაზღვრელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. მ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. და გ. ლ-ძეების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურების მოპასუხეებზე დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 3 ოქტომბერს მ. და გ. ლ-ძეებმა დააზიანეს ი. გ-მის კუთვნილი ქონება - მაგიდები, კარადა, მინები, მაცივარი, გადაჭრეს გაზის მილი და დაამტვრიეს ყვავილის ქონებები. ძველი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს III განყოფილებაში დაწყებული წინასწარი გამოძიების მასალებით დადასტურებულ იქნა, რომ მოპასუხეთა მიერ მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა 1000 ლარი. «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის საფუძველზე მოპასუხეთა მიმართ წინასწარი გამოძიება შეწყდა, თუმცა მ. და გ. ლ-ძეები არ გათავისუფლებულან მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაგან.

მოპასუხეებმა სარჩელი ცნეს ნაწილობრივ, კერძოდ 75 ლარისა და 7 თეთრის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 4 ოქტომბერს დაწყებული წინასწარი გამოძიებისას ჩატარდა სასაქონლო ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნის საფუძველზე დადგინდა იქნა მატერიალური ზარალის ფაქტი, რომლის ოდენობამ შეადგინა 75 ლარი და 70 თეთრი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით ი. გ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 79 ლარისა და 70 თეთრის ანაზღაურება. მოსარჩელეს ასევე დაუბრუნდა მის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი - 50 ლარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული შემდეგი საფუძვლებით: პალატამ დადგინდა ცნო, რომ აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება - დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეებზე 1000 ლარის დაკისრება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებულ განჩინებაზე ი. გ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით, რადგანაც დავის საგანი აღემატება 1000 ლარს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა როგორც დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის - 1000 ლარის მოწინააღმდეგე მხარეზე დაკისრება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის არასწორად დაკისრება, რის გამოც აპელანტის მოთხოვნა აღემატებოდა 1000 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. დავის საგნის ფასის განსაზღვრა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომით მოითხოვს მხარე გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას დავის საგნის ფასის არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით, რადგანაც დადგინდა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებზე 1000 ლარის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. და მ. ლ-ძეებს დევეალათ მოსარჩელის სასარგებლოდ 79 ლარისა და 70 თეთრის ანაზღაურება. ი. გ-მეს ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე დაუბრუნდა მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ნახევარი - 50 ლარი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის

საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს არა თავდაპირველი მოთხოვნის ოდენობისა და სახელმწიფო ბაჟის სრული თანხის შეკრებით, არამედ იმ ნაწილით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავის საგნის ღირებულებას წარმოადგენს 970 ლარსა და 3 თეთრს (1000-79,7+50=970,3), რის გამოც სააპელაციო პალატამ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას, რის გამოც მიიჩნევს, რომ ი. გ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-827-1142-07

14 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

მ. ცისკაძე (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ 2005 წლის ივნისში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სადაზღვევო კომპანია შპს «ოლიმპის» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის საგარანტიო თანხის 29915 ლარის გადახდის დაკისრება, პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,15%-ის ოდენობით, ასევე სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის დაკისრება. მან სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ 2004 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში #10 ზონის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებით გაიმარჯვა შპს «#25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ». ამ უკანასკნელსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის 2004 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული #49 ხელშეკრულების შესაბამისად შპს #25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ» იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა ზონა #10-ზე საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე. 2005 წლის 28 თებერვალს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიოდ სადაზღვევო კომპანია შპს «ოლიმპის» მიერ გაიცა #05/1 საბანკო გარანტია, რომლის მიხედვითაც გარანტი შპს «ოლიმპი» იღებს პასუხისმგებლობას დეპარტამენტის წინაშე 29915 ლარის ოდენობით და კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს საგარანტიო თანხა შპს «#25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ» მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე. 2005 წლის 16 მაისს შპს «#25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ» განცხადებით მიმართა მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, მოტივად მიუთითა #49 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მოსალოდნელი შეუსრულებლობა. მოსარჩელის მითითებით, შპს «#25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ» ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არაჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა აღნიშნულ ზონაში შემავალ გზებს და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას უწევს დამატებითი ხარჯების გაწევა. 2005 წლის 19 მაისს შპს «#25 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველო «უჩამ» მოთხოვნისა და მისი ამავე წლის 16 მაისის წერილის საფუძველზე გაფორმდა შეთანხმება 2004 წლის 17 დეკემბრის #49 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რის შესახებაც 2005 წლის 23 მაისის #02/1263 წერილით მოსარჩელემ აცნობა სადაზღვევო კომპანია შპს «ოლიმპის» და მოითხოვა საგარანტიო

თანხის გადახდა, თუმცა მიუხედავად წერილობითი მოთხოვნისა ეს უკანასკნელი #05/1 საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას თავს არიდებს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი და ჩათვალა, რომ საქმის მასალების თანახმად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ასლი გადაეცა 2007 წლის 15 აგვისტოს. აღნიშნული გადაწყვეტილებით მას ასევე განემარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის გამოთვლა უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების გადაცემის მეორე დღიდან, ე.ი. 2007 წლის 16 აგვისტოდან და უნდა დამთავრდეს 2007 წლის 29 აგვისტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე უნდა შეეტანა 2007 წლის 30 აგვისტომდე. მან კი სააპელაციო საჩივარი მცხეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2007 წლის 10 სექტემბერს, ე.ი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის გათვალისწინებული ვადის დარღვევით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა თ. გ-ვიანმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რასაც ადასტურებს საფოსტო ქვითარი, რომელზეც სააპელაციო საჩივრის ვადად მითითებულია 2007 წლის 29 აგვისტო. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, არ არსებობს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების დარღვევის ფაქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, ვინაიდან საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2007 წლის 15 აგვისტოს და მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 10 სექტემბერს, აპელანტის მიერ გაშვებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის არც გაგრძელება და არც აღდგენა არ შეიძლება. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დასაწყისი განისაზღვრება მხარისათვის დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების გადაცემის მომენტით, ხოლო თუ დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული, მაშინ ეს ვადა იწყება გამოცხადების მომენტიდან ოღონდ იმ პირობით, თუ სააპელაციო საჩივრის უფლების მქონე პირი ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას. დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ხელზე მიცემა მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის უშუალოდ სასამართ-

ლოში, რაც მან უნდა დაადასტუროს შედგენილ ხელწერილზე საკუთარი ხელმოწერითა და თარიღის მითითებით, ან მისი მხარისათვის გადაგზავნის დრო. გაგზავნის დროდ მიჩნეული უნდა იქნეს დრო, როდესაც გადაწყვეტილების ასლი 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გადაეგზავნა მხარეს, ოღონდ საქმეში აუცილებლად უნდა იყოს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ ამ წესით გადაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ჩაბარდა 2007 წლის 15 აგვისტოს. საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. საქმეში წარმოდგენილი, საფოსტო კონვერტიდან დასტურდება, რომ მის მიერ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაჰბარდა 2007 წლის 29 აგვისტოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთსაათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთსაათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს სააპელაციო საჩივარი შეტანილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებულ 14-დღიან ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-910-1217-07

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ლ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ორიონ-სპეცმშენის« მიმართ საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე მუშაობდა ქ. თბილისის ტრესტ „სპეცმშენის« «სმმკ-132-ში», რომლის სამართალმემკვიდრეა მოპასუხე შპს „ორიონ-სპეცმშენი«. ზ. ლ-მე იმყოფებოდა ბინის მიღების აღრიცხვაზე, თუმცა მას ბინა არ მიუღია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალედევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი მხარემ ჩაიბარა 2004 წლის 21 ივლისს და გასაჩივრა იგი სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ზ. ლ-მის სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, დარჩა განუხილველი. მითითებული განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2005 წლის 26 იანვარს, თუმცა ზ. ლ-მეს იგი კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია და განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 7 აგვისტოს ზ. ღ-მემ კვლავ სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ზ.ღ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან იგი შეტანილია ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევით. ამასთან, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით, 266-ე მუხლით და ჩათვალა, რომ სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა ზ. ღ-მის სააპელაციო საჩივარზე და განუხილველად დატოვა იგი, ხოლო ხელმეორედ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება მხარეს არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ზ. ღ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად ზ. ღ-მის მიერ თავდაპირველად შეტანილი სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ვინაიდან აპელანტი ინვალიდია და სოციალურად დაუცველ პირთა რიცხვს მიეკუთვნება, რის გამოც სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლებულია. ამასთან, სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა კანონის ანალოგიით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ღ-მის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. თბილისის გლდანი-ნამალედვის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება ზ. ღ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 26 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის - სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, დარჩა განუხილველი, რაც მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ.

2007 წლის 7 აგვისტოს ზ. ღ-მემ კვლავ სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო პალატას და პირველი ინსტანციის სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის გლდანი-ნამალედვის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება ზ. ღ-მემ ჩაიბარა 2004 წლის 21 ივლისს, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ შეიტანა 2007 წლის 7 აგვისტოს, ამდენად, აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია და სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ნოემბრის განჩინება ზ. ღ-მის თავდაპირველი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და იგი კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებაზე იმის შესახებ, რომ ზ. ღ-მემ კანონით უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და აღნიშნული საფუძველით მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. ღ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-823-1140-07

4 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სადეკრეტო დავალიანებისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში წყალტუბოს რაიონის ... საჯარო სკოლის მიმართ სადეკრეტო დავალიანების - 283 ლარისა და მატერიალური ზიანის - 500 ლარის ანაზღაურების შესახებ.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - წყალტუბოს რაიონის ... საჯარო სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის 18 ივლისიდან 21 ნოემბრამდე სადეკრეტო დავალიანების - 283 ლარის გადახდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ რაიონული სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ნ. ს-მემ პირადად ჩაიბარა 2007 წლის 24 აპრილს და ამავე წლის 2 ივლისს გაასაჩივრა იგი სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ნ. ს-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტს ჩაჰბარდა 2007 წლის 24 აპრილს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2007 წლის 2 ივლისს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია, რაც, ამავე კოდექსის 374-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ს-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ ისე დატოვა განუხილველი კერძო საჩივრის ავტორის სააპელაციო საჩივარი, რომ არ შეაფასა ნ. ს-მის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა. აღნიშნული დოკუმენტით კი დასტურდება, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი დაგვიანებით შეიტანა ობიექტური მიზეზის არსებობის - თავისი ავადმყოფობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ნ. ს-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. ს-მეს ჩაბარდა 2007 წლის 24 აპრილს და სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა - 2007 წლის 2 ივლისს.

ამდენად, ნ. ს-მე სააპელაციო საჩივრის ზემოხსენებული ნორმით დადგენილი ვადის დარღვევით შეტანის ფაქტს სადავოდ არ ხდის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ნ. ს-მემ სათანადო მტკიცებულებით - ავადმყოფობის ცნობით დაადასტურა სადავო ვადის ობიექტური მიზეზით დარღვევა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მისი სააპელაციო საჩივარი დასაშვებად უნდა ეცნო, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო საჩივრის ვადის აღდგენა დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. ს-მის სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-905-1212-07

4 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. და ა. ა-შვილებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ბ., ვ., ნ., ჯ. მ-ებისა და ზ. ჯ-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ იმ საფუძველით, რომ ქ. თბილისში, ... მე-4 მკ/რ-ის 34-ე კორპუსში მდებარე #6 ბინა წარმოადგენს ა. ა-შვილის საკუთრებას. მოპასუხეები უკანონოდ შეიჭრნენ ბინაში და არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მას არ ათავისუფლებენ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ლ. და ა. ა-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისში, ... მე-4 მკ/რ-ის 34-ე კორპუსში მდებარე #6 ბინა გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების - ბ., ნ., ვ., ჯ. მ-ებისა და ზ. ჯ-ის უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებული დაუბრუნდა მოსარჩელეს. გადაწყვეტილების ასლი ჯ. მ-ის ჩაჰბარდა 2007 წლის 27 აგვისტოს, ამავე წლის 14 სექტემბერს კი მხარემ სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ჯ. მ-იამ დაარღვია სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა. პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტს ჩაბარდა 2007 წლის 27 აგვისტოს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა ამავე წლის 14 სექტემბერს - 14 დღის გასვლის შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ჯ. მ-იამ და მისმა წარმომადგენელმა ა. გ-მემ შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ჯ. მ-იამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა 2007 წლის 27 აგვისტოს, ფაქტობრივად, აღნიშნული გადაწყვეტილება 2007 წლის 31 აგვისტოს ჩაბარდა მხარის წარმომადგენელს, რომელმაც სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა. თავად ჯ. მ-ია სადავო დროს თბილისში არ იმყოფებოდა და გადაწყვეტილება პირადად არ ჩაბარებია. ბ., ვ., ნ. მ-ებისა და ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები მიიღო ყველა აპელანტმა ჯ. მ-ის გარდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კერძო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ჯ. მ-იასა და მის წარმომადგენელ ა. გ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება ჯ. მ-ის ჩაჰბარდა 2007 წლის 27 აგვისტოს. აღნიშნული გარემოება დასტურდება ჯ. მ-ის წარმომადგენელ ა. გ-ძის ამავე თარიღის #38849 განცხადების მეორე გვერდზე მხარის ხელმოწერით.

საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 14 სექტემბერს ჯ. მ-იამ შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში ჯ. მ-იამ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ჯ. მ-იას საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია და აღნიშნული მომენტისათვის იგი ქ.თბილისში არ იმყოფებოდა, ვინაიდან მითითებული გარემოება მხარემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ჯ. მ-იასა და მის წარმომადგენელ ა. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-922-1228-07 13 თებერვალი. 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ალიმენტის დანიშვნა და დამატებითი ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 17 ივნისს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ბ. დ-შვილმა, მოითხოვა მოპასუხე ზ. დ-შვილს დაკისრებოდა შვილების სასარგებლოდ ალიმენტი 50 ლარის ოდენობით და ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯები ორივე ბავშვზე 500 ლარის ოდენობით.

მოპასუხე სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა, ხოლო მოსარჩელე ბ. დ-შვილის წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

2006 წლის 31 აგვისტოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბ. დ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა. ზ. დ-შვილს დაეკისრა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა თვეში 50 ლარის ოდენობით და ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების გაწევა ორივე ბავშვზე 500 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა ზ. დ-შვილმა და მოითხოვა 2006 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. დ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ზ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი ცნო დაუშვებლად.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზ. დ-შვილს ჩაჰბარდა 2006 წლის 6 დეკემბერს, ხოლო ზ. დ-

შვილმა სააპელაციო საჩივარი ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებაზე შეიტანა 2007 წლის 19 სექტემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი იყო დაუშვებელი მისი კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. დ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე არის დაუსაბუთებელი და უკანონო. მისი განმარტებით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2007 წლის 13 სექტემბერს, რის გამოც მას არ ჰქონდა გაშვებული გასაჩივრების ვადა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მას გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2006 წლის 6 დეკემბერს, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება არცერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2006 წლის 6 დეკემბერს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. დ-შვილმა მოითხოვა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზ. დ-შვილს ჩაჰბარდა 2006 წლის 6 დეკემბერს.

ასევე დადგენილია რომ ზ. დ-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 19 სექტემბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე.

ამავე მუხლით იმპერატიულად დადგენილია რომ, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად განსაზღვრულია დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად ზ. დ-შვილს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2006 წლის 6 დეკემბერს რომელიც მას უნდა გაესაჩივრებინა კანონით განსაზღვრულ 14 დღის ვადაში.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მას გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2007 წლის 13 სექტემბერს, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს არ წარმოდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა ზ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველი, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. დ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შემოტანის ვადა

განჩინება

#ას-984-1289-07

18 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-იანისა და მ. ი-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლით: მოსარჩელის მამა - ს. ბ-ოვი ისე გარდაიცვალა, რომ ანდერძი არ დაუტოვებია, თუმცა მისი ერთადერთი მემკვიდრე იყო გ. ბ-ოვი, რომელმაც მამის ავადმყოფობის პერიოდში მის მოსავლელად დაიქირავა მ. გ-იანი. მამის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელმა უკანონოდ გადაიფორმა ს. ბ-ოვის კუთვნილი ბინა და აჩუქა თავის ქალიშვილს - მ. ი-ძეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძვლით, რომ სადავო ბინა წარმოადგენდა ს. ბ-ოვისა და მ. გ-იანის თანასაკუთრებას, ამდენად, ამ უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა, გაეჩუქებინა კუთვნილი უძრავი ნივთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა გ. ბ-ოვის წარმომადგენელმა თინათინ ლ-შვილმა. ამავე სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია და, ამავე კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, იგი დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა როგორც აპელანტს, ისე მის წარმომადგენელ თ. ლ-შვილს. 2007 წლის 17 ოქტომბერს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა გ. ბ-ოვის მეუღლეს, ხოლო მის წარმომადგენელს საქმეში არსებულ მისამართზე ადრესატის არყოფნის გამო გზავნილი არ ჩაბარდა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 74-ე მუხლების პირველი ნაწილებით და 2007 წლის 17 ოქტომბერს სასამართლო გზავნილი გ. ბ-ოვისათვისაც ჩაბარებულად ჩათვალა. პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა აითვლება 2007 წლის 18 ოქტომბრიდან და იწურება 31 ოქტომბერს, აპელანტის წარმომადგენელმა კი სადავო სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 1 ნოემბერს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ბ-ოვის წარმომადგენელმა თ. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო: გ. ბ-ოვი არის გონებაშეზღუდული, რის შესახებ მისმა მარწმუნებელმა სასამართლოს აცნობა. ამდენად, სასამართლო გზავნილები, მათ შორის, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გ. ბ-ოვს არასწორად გაეგზავნა და არ გაეგზავნა მის წარმომადგენელს. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 2007 წლის 17 ოქტომბრიდან არასწორად აითვალა, ვინაიდან გ. ბ-ოვის მეუღლემ განჩინების ასლი თ. ლ-შვილს გადასცა ამავე წლის 19 ოქტომბერს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სადავო 14-დღიანი ვადა უნდა ათვლილიყო წარმომადგენლისათვის განჩინების ჩაბარების მომენტიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ოვის წარმომადგენელ თინათინ ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინება მხარეებს გაეგზავნათ კანონის მოთხოვნათა დაცვით. საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ 2007 წლის 17 ოქტომბერს განჩინების ასლი ჩაბარდა გ. ბ-ოვის მეუღლეს, ხოლო მის წარმომადგენელ თ. ლ-შვილს სასამართლო გზავნილი ორჯერ გაეგზავნა, თუმცა არ ჩაბარდა საქმეში არსებულ მისამართზე ადრესატის არყოფნის გამო.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად გამოიყენა იმ დროსათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 74-ე მუხლების პირველი ნაწილები, რომელთა შესაბამისად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებოდა სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება ან გზავნილი უნდა გაეგზავნოს როგორც მხარეს, ისე მის წარმომადგენელს და იგი მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი ჩაბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს. მოცემულ შემთხვევაში

სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებულ ოჯახის სრულწლოვან წევრად მისი მეუღლე მართებულად ჩათვალა.

ამასთან, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ, გ. ბ-ოვის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის გამო, მას სასამართლო გზავნილი არ უნდა გაგზავნოდა. ასევე საფუძველსაა მოკლებული მხარის მითითება, რომ თ. ლ-შვილს პირველი ინსტანციის გასაჩივრებული განჩინება არ გაგზავნია, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ განჩინება მას ორჯერ გაეგზავნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა 2007 წლის 17 ოქტომბრიდან - გ.ბ-ოვისათვის გასაჩივრებული განჩინების ჩაბარების მომენტიდან სწორად აითვალა. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია, რომ სადავო ვადა ამოიწურა ამავე წლის 31 ოქტომბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით - 2007 წლის 1 ნოემბერს.

ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა სააპელაციო საჩივრის შეტანის საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა ათვლილიყო გ. ბ-ოვის მეუღლის მიერ თ. ლ-შვილისათვის გასაჩივრებული განჩინების გადაცემიდან - 2007 წლის 19 ოქტომბრიდან, ვინაიდან კანონმდებელი კონკრეტულად განსაზღვრავს სადავო ვადის ათვლის მომენტს - მხარისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან განჩინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებას, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა 2007 წლის 17 ოქტომბერს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ბ-ოვის წარმომადგენელ თ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-880-1188-07

19 მარტი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 იანვარს ს. და ზ. ც-ძეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მ. ც-ძის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს. მოსარჩელეთა განმარტებით, 2006 წლის 3 ივლისის განაჩენით მ. ც-ძეს გადასახადებისაგან თავის არიდებით გამოწვეული ზარალის - 1 400 136 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა დაეკისრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 6 ნოემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღმასრულებელმა აღწერა და დააყადა არა მ. ც-ძის, არამედ მათი კუთვნილი ნივთები,

რომლებიც სრულიად სხვა მისამართზე მდებარე და ამჟამად ბანკი «ქართუს» საკუთრებაში არსებულ ბინებში იყო განთავსებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა დაყადაღებული ქონების აღწერის სიიდან მათი კუთვნილი მოძრავი ნივთების ამორიცხვა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ს. და ზ. ც-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა გ. გ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საჩივარი გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ იყო შეტანილი.

2007 წლის 2 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა პ. პ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას კერძო საჩივრით მიმართა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი შპს «საქართველოს ფოსტას» 2007 წლის 3 აგვისტოს, 14 დღიანი ვადის ბოლო დღეს ჩაჰბარდა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა გაშვებული არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 20 ივლისს ჩაჰბარდა. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის ათვლა 2007 წლის 21 ივლისიდან დაიწყო და 3 აგვისტოს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანცელარიაში 2007 წლის 6 აგვისტოს გატარდა. საქმეში არსებული კონვერტით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას 2007 წლის 3 აგვისტოს ჩაჰბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ფოსტას 2007 წლის 3 აგვისტოს, 14-დღიანი ვადის ბოლო დღეს ჩაჰბარდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა გასულად ვერ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 61-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პ. პ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-56-340-08

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 ოქტომბერს ბ. ი-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ჩოხატაურის რაიონულ სასამართლოს შპს „საქართველოს ფოსტის“ ჩოხატაურის ფილიალის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 24200 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი სოფ. ... საფოსტო განყოფილების უფროსად მუშაობდა. 1991 წლიდან დამტარებლისა და ფოსტის მცველის შტატი შემცირდა, რის გამოც სოფლის 350 პენსიონერი პენსიას ვეღარ მიიღებდა. პენსიონერებმა მას რაიონიდან პენსიის თანხის ატანა სთხოვეს, რისთვისაც გასამრჯელოს შეჰპირდნენ. 1991 წლიდან 1997 წლამდე იგი უწყევდა პენსიონერებს აღნიშნულ მომსახურებას, რისთვისაც ამ ხნის განმავლობაში დაქირავებულ ტრანსპორტში 3500 ლარი გადაიხადა. სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შპს „საქართველოს ფოსტას“ 2001 წლამდე მომსახურებისათვის სხვადასხვა პროცენტს ურიცხავდა, კერძოდ, 1993- 1997 წლებში ჩარიცხული საპენსიო თანხის 5%-ს. ვინაიდან ბ. ი-მეს ფოსტიდან ყოველთვიურად 2000 ლარი გაჰქონდა, მისმა 5%-მა 1991 წლიდან 1997 წლამდე 7200 ლარი შეადგინა. ამას გარდა, პენსიონერებს მისთვის უნდა გადაეხადათ მომსახურების თანხა, მაგრამ მათთვის ცნობილი გახდა, რომ ის ჩარიცხული საპენსიო თანხის 5%-ს იღებდა, რის გამოც დაპირებული თანხა არ გადაუხადეს და ავტორიტეტიც შეეღალა. მიუხედავად იმისა, რომ ... მცხოვრები პენსიონერებისაგან გასამრჯელოს სახით არაფერი მიუღია, წლების განმავლობაში მას და მის მეუღლეს პენსიის თანხას უქვითავდნენ და გაურკვეველი მიმართულებით რიცხავდნენ, მისთვის დაქვითული თანხის ოდენობამ 1997 წლიდან 2000 წლამდე 2000 ლარი შეადგინა. ამასთან, 1996 წელს 31 იანვარს, როცა ფეხით მიდიოდა სოფ. ... და პენსიის თანხა მიჰქონდა, გზაზე სამი შეიარაღებული მძარცველი დახვდა, რომლებმაც 1500 ლარი გაიტაცეს. აღნიშნულზე სამართალდამცავ ორგანოებში არ განუცხადებია, რადგან მძარცველებს არ იცნობდა. იგი სხვადასხვა ინსტანციაში ცდილობდა თავისი უფლებების დაცვას, თუმცა ვერაფერს მიაღწია, რამაც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და 11 იანვრიდან 10 მარტამდე ლოგინად იყო ჩავარდნილი. მან ასევე ვერ მიიღო მოპასუხისაგან დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის ნამდვილად დაქირავებული ტრანსპორტით ემსახურებოდა პენსიონერებს, ასევე, ვერ მიიღო პენსიონერთა ერთობლივი განცხადებაც, რომლითაც ისინი მის გადაყენებას მოითხოვენ, რითაც განიცადა მორალური ზიანი 10000 ლარის ოდენობით.

ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით სარჩელი ბ. ი-მეს უკან დაუბრუნდა ხარვეზის შეუსვებლობის გამო.

2006 წლის 7 ნოემბერს ბ. ი-მემ იმავე სასარჩელო მოთხოვნით კვლავ მიმართა ჩოხატაურის რაიონულ სასამართლოს.

ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. ი-მის სასარჩელი შპს «საქართველოს ფოსტის» ჩოხატაურის ფილიალისათვის 7200 ლარის დაკისრების ნაწილში შეწყდა და მოსარჩელეს განემარტა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლებოდა. ბ. ი-მის მოთხოვნა შპს „საქართველოს ფოსტის“ ჩოხატაურის ფილიალისათვის ტრანსპორტის დაქირავების ხარჯების - 3500 ლარის, არაკანონიერად დაქვითული პენსიის - 2000 ლარის, ძარცვის დროს წართმეული 1500 ლარისა და მორალური ზიანის - 10000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ი-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ბ. ი-მის სააპელაციო საჩივარი ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე განუხილველი დარჩა დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ბ. ი-მეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2006 წლის 18 დეკემბერს, ხოლო ამ უკანასკნელმა ჩოხატაურის რაიონული

სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა 2007 წლის 14 აგვისტოს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის დარღვევით.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ი-მემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 24 დეკემბერს მიიღო სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც მას განემარტა, რომ დაავიანა პასუხის შეტანა, რის გამოც განუხილველად უტოვებდნენ სააპელაციო საჩივარს, მაგრამ სინამდვილეში 12 დღის ვადა მიეცა, რომ პასუხი გაეცა, მას კი ორი დღეც არ დაუგვიანია, ვინაიდან თავად ჩქარობდა, როგორმე დასრულებულიყო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ი-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინება უცვლელად დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ბ. ი-მეს გაეგზავნა 7 დეკემბერს და ჩაჰბარდა 2006 წლის 18 დეკემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ბ. ირამაძემ 2007 წლის აგვისტოში შეიტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სამართლის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი რჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ბ. ი-მემ გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში მოიპოვება ბ. ი-მის 2006 წლის 18 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი, რომელიც ბუნდოვანია და არ ირკვევა, რას ასაჩივრებს მისი ავტორი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კერძო საჩივრის ავტორს მხედველობაში აქვს აღნიშნული სააპელაციო საჩივარი, ამ შემთხვევაში მაინც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც მითითებულ სააპელაციო საჩივარზე წარმოება დასრულდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 თებერვლის განჩინებით, რომლითაც სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა და რომელიც ბ. ი-მეს 2007 წლის 19 თებერვალს ჩაბარდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. ი-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-107-387-08

28 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 29 ივნისს შპს «საქართველოს რკინიგზამ» ბორჯომის რაიონულ სასამართლოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2003 წლის 30 მაისს შპს «საქართველოს რკინიგზის» ფილიალსა და მოპასუხეს შორის ხე-ტყის კავა-დამზადებისა და მოხმარების პუნქტამდე გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო, რომლის შესრულების დრო 2004 წლის 1 ივლისამდე განისაზღვრა. ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობამ ვალდებულება დროულად არ შეასრულა. 2005 წელს ბაკურიანის სატყეო მეურნეობასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე აღიარებდა ვალის - 9345 ლარის არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «საქართველოს რკინიგზამ» ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობისათვის ძირითადი ვალის, 9345 ლარისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის დარიცხული პროცენტის - 7008 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ ძირითადი ვალის - 9345 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 210 ლარის გადახდა დაეკისრა. მოსარჩელის მოთხოვნა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით პროცენტების დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა. შპს «საქართველოს რკინიგზამ» გასაჩივრებული გადაწყვეტილების პროცენტების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურმა სატყეო სამმართველომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტს გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2007 წლის 3 ოქტომბერს ჩაჰბარდა, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადა 2007 წლის 17 ოქტომბერს ამოიწურა. მხარემ კი სააპელაციო საჩივარი ფოსტას 2007 წლის 22 ოქტომბერს, ანუ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ჩააბარა.

2008 წლის 23 იანვარს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს უფროსმა ი. გ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატას კერძო საჩივრით მიმართა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოსათვის ცნობილი გახდა 2007 წლის 7 ოქტომბერს, რაც დასტურდება შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალის ჩანაწერით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი ვადის დენა 8 ოქტომბრიდან დაიწყო. სააპელაციო საჩივარი კი შპს «საქართველოს ფოსტას» 14-დღიანი ვადის გასვლამდე - 2007 წლის 22 ოქტომბერს გადაეცა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს უფროსი ი. გ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბორჯომის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი მხარეებს სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე 2007 წლის 27 სექტემბერს გაეგზავნათ. საქმეში არსებული გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობას 2007 წლის 3 ოქტომბერს ჩაჰბარდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის დენა 4 ოქტომბრიდან დაიწყო და 2007 წლის 17 ოქტომბერს ამოიწურა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი ფოსტას 2007 წლის 22 ოქტომბერს, ვადის გასვლიდან 5 დღის შემდეგ ჩაჰბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლებდა კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში შეტანილი არ იყო, სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთხსენებული მუხლის საფუძველზე, იგი განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 63-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1020-275-08 2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის პირველ თებერვალს ზ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ო. ხ-შვილის მიმართ და მოითხოვა მის მიერ გაწეული ხარჯების 2500 ლარის, შრომითი წვლილის შესაბამისი საკომპენსაციო თანხის - 6200 ლარისა და ერთობლივად დამზადებული ბალახის პრესის გაყიდვით მიყენებული ზიანის - 500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხე ო. ხ-შვილს დაევალა უსაფუძვლოდ მიღებული 2175 ლარის ზ. მ-შვილისათვის დაბრუნება, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხის სასარგებლოდ გაწეული ფიზიკური შრომის ანაზღაურებისა და ერთობლივად დამზადებული საქონლის საკვების ღირებულების მოპასუხისათვის ნაწილობრივ გადახდევინების მოთხოვნაზე, დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის პირველი ნოემბრის განჩინებით, ო. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. ხ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან, ო. ხ-შვილის განმარტებით, რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის მეუღლეს ჩაჰბარდა 2007 წლის 30 სექტემბერს, და არა 2007 წლის 27 სექტემბერს, რომელიც მან სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა 2007 წლის 12 ოქტომბერს, ე.ი. კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში, ხოლო საფოსტო შეტყობინებაზე, რომელსაც სააპელაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო, ხელმოწერა გაყალბებულია «სახალხო ბანკის» სიღნაღის ფილიალის თანამშრომლის მიერ, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა «სახალხო ბანკის» სიღნაღის ფილიალის თანამშრომლის - ი. ტ-შვილის ახსნა-განმარტების ასლი და შს სიღნაღის რაიონული განყოფილების გამომძიებლის მიერ გაცემული ცნობის ასლი იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ დაწყებულია გამოძიება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წარმოება ო. ხ-შვილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების ასლი ო. ხ-შვილს ჩაჰბარდა 2007 წლის 27 სექტემბერს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შეიტანა 2007 წლის 12 ოქტომბერს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2007 წლის 11 ოქტომბერი.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის მეუღლეს ჩაჰბარდა 2007 წლის 30 სექტემბერს, და არა 2007 წლის 27 სექტემბერს, რომელიც მან სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა 2007 წლის 12 ოქტომბერს, ე.ი. კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში. ხოლო საფოსტო შეტყობინებაზე, რომელსაც სააპელაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო, ხელმოწერა გაყალბებულია «სახალხო ბანკის» სიღნაღის ფილიალის თანამშრომლის მიერ, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა «სახალხო ბანკის» სიღნაღის ფილიალის თანამშრომლის - ი. ტ-შვილის ახსნა-განმარტების ასლი და შს სიღნაღის რაიონული განყოფილების გამომძიებლის მიერ გაცემული ცნობის ასლი იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ დაწყებულია გამოძიება.

აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან ო. ხ-შვილის მიერ წარმოდგენილი შს სიღნაღის რაიონული განყოფილების გამომძიებლის 2007 წლის 20 დეკემბრის ცნობის ასლით ირკვევა, რომ ო. ხ-შვილის 2007 წლის 18 დეკემბრის განცხადების საფუძველზე სიღნაღის რაიონულ განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, ხოლო დოკუმენტის სიყალბე დღესდღეობით არ დადასტურებულა.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორს განუმარტავს, რომ თუ აღნიშნული დოკუმენტის სიყალბე დადგინდება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ასეთ შემთხვევაში, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

ამდენად, ო. ხ-შვილის მიერ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძველო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ო. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის პირველი ნომბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-333-586-08

5 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. შ-დეს წარმომადგენლებმა ა. ბ-ძემ და ი. ყ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალურ მეწარმე «ბ. მ-ძის» მიმართ საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის - 20 200 ევროს ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლით: 2004 წელს ინდივიდუალური მეწარმე «ბ. მ-ძის» გამომცემლობამ გამოსცა მითოლოგიური ენციკლოპედია «ყმაწვილთათვის», სადაც მოსარჩელის ნებართვის გარეშე გამოიყენა რ. შ-დეს მიერ გადაღებული 13 ფოტოსურათი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რ. შ-დემ სადავო ფოტოსურათებზე თავისი საავტორო უფლება ვერ დაადასტურა. ამასთან, სადავო ფოტოებზე აღბეჭდილია ისტორიული ფაქტები, რის გამოც მათზე «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით რ. შ-დეს სარჩელი საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, ინდივიდუალურ მეწარმე «ბ. მ-ძის» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1200 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, მორალური ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განჩინებით ინდივიდუალური მეწარმე «ბ. მ-ძის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი 2007 წლის 11 მაისს აპელანტ ბ. მ-ძეს პირადად ჩაბარდა, რასაც ადასტურებს მისი ხელმოწერა, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ შეიტანა 2007 წლის 28 მაისს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-60 მუხლით და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2007 წლის 25 მაისს, ამდენად, სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონდარღვევით და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ინდივიდუალური მეწარმე «ბ. მ-ძემ» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძვლით, რომ აპელანტს სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა არ დაურღვევია.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების ასლი ბ. მ-ძეს ჩაბარდა 2007 წლის 11 მაისს, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ შეიტანა ამავე წლის 28 მაისს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური მეწარმე «ბ. მ-ძის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს

დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი ამოწურვის შემდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ბ. მ-მეს ჩაჰბარდა რა 2007 წლის 11 მაისს, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა მართებულად აითვალა 12 მაისიდან და იგი ამოწურულად ჩათვალა 25 მაისს. იმის გათვალისწინებით, რომ მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 28 მაისს, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ბ.მ-ძის მიერ ზემოთ დასახელებული ნორმით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დარღვევის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ ბ. მ-ძემ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა და მიიჩნევს, რომ მოცემული სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ინდივიდუალური მეწარმე «ბ. მ-ძის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1018-274-07

7 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს დ., ი. და ლ. ფ-ძეებმა მოპასუხეების - ზ. და რ. ყ-ების მიმართ და მოითხოვეს მათი გამოსახლება თბილისში, ... ქ. #3-ის #3 კორპუსში მდებარე ბინა #1-დან.

მოსარჩელები სარჩელში მიუთითებენ, რომ მოპასუხეები 2003 წლიდან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე შეუშვეს აღნიშნულ ბინაში. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეები არ ათავისუფლებენ მათ საკუთრებაში არსებულ ბინას, რითაც იზღუდება მოსარჩელების ბინის მესაკუთრეების უფლებები, თავისუფლად ფლობდნენ და განკარგავდნენ საკუთარ ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ზ. და რ. ყ-ების გამოსახლება თბილისში, ... ქ. #3-ის #3 კორპუსში მდებარე #1 ბინიდან.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მათ სადავო ბინა იყიდეს დ. ფ-ძისაგან 1300 აშშ დოლარად, თუმცა, თანხის გადაცემის მიუხედავად, მოსარჩელემ მათ ბინა არ გადაუფორმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით დ., ლ. და ი. ფ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით რ. ბ-შვილი და ზ. ყ-ა გამოსახლებულ იქნენ თბილისში, ... ქ. #3 კორპუსში მდებარე #1 ბინიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ბ-შვილისა და ზ. ყ-ას წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით, რ. ბ-შვილისა და ზ. ყ-ას წარმომადგენლის - მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი გასაჩივრების ვადის გასვლის გამო.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე რ. ბ-შვილისა და ზ. ყ-ას წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი. მან მიუთითა, რომ აპელანტებს სააპელაციო საჩივრისათვის კანონით დადგენილი ვადა

არ დაურღვევიათ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ზ. ყ-ას შვილს - გ. ყ-ას, რომელიც არ არის მათი ოჯახის წევრი და ცალკე ცხოვრობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ რ. ბ-შვილისა და ზ. ყ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ზ. ყ-ას შვილს, რომელიც ცალკე ცხოვრობს და არ არის ოჯახის წევრი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან თავისი დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. ჩაბარებად ჩაითვლება როგორც უწყების პირადად გადაცემა, ასევე უწყების მიმღების მიერ ადრესატისთვის უწყების შინაარსის ცნობება.

მოცემულ შემთხვევაში გზავნილზე მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ზ. ყ-ას შვილს - გ. ყ-ას 2007 წლის 26 ივლისს. სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა ამოიწურა 2007 წლის 9 აგვისტოს, მან კი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 10 აგვისტოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში რ. ბ-შვილისა და ზ. ყ-ას მიერ დარღვეულია სააპელაციო საჩივრისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ბ-შვილისა და გ. ყ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-219-480-08

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. ნ-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ა. ნ-უას დაეკისრა შვილის - ს.

ნ-უას სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა სარჩელის შემოტანიდან - 2006 წლის 28 სექტემბრიდან მის სრულწლოვანებამდე - 2007 წლის 21 იანვრამდე, თვეში - 400 ლარის ოდენობით, სულ 1600 ლარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ნ-უამ, მოითხოვა მისი გაუქმება ალიმენტის ოდენობის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის წარსული დროის - 3 წლის ფარგლებში ალიმენტის დაკისრება 2000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 16 იანვრის განჩინებით ს. ნ-უას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ნ-უამ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ მისმა წარმომადგენელმა, ავადმყოფობის გამო, ვერ მოახერხა სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა, ხოლო თავად იმყოფებოდა დასასვენებლად დაბა ბაკურიანში, რის გამოც მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის საპატიოდ ჩათვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ს. ნ-უას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამ მუხლის შინაარსის მიხედვით, მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ უწყება გაეგზავნა როგორც მხარეს, ასევე წარმომადგენელს და ეს უწყება ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს. ეს იმას ნიშნავს, რომ უწყების ჩაბარების თაობაზე, მხარემაც და წარმომადგენელმაც ერთმანეთს უნდა აცნობონ. მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, აგრეთვე, თუ იგი ჩაჰბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი ს. ნ-უას წარმომადგენელ ა. ქ-შვილს, ფოსტის მეშვეობით ჩაჰბარდა 2007 წლის 11 დეკემბერს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2007 წლის 28 დეკემბერს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2007 წლის 25 დეკემბერი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მისმა წარმომადგენელმა სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა, ავადმყოფობის გამო, ვერ მოახერხა, ხოლო თავად იმყოფებოდა დასასვენებლად დაბა ბაკურიანში და ამიტომ საპროცესო ვადის დარღვევა საპატიოდ უნდა ჩაეთვალოს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგანაც აღნიშნულ კერძო საჩივარში თავადვე მიუთითებს, რომ გაშვებული აქვს კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა, რომლის აღდგენა დაუშვებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

ამდენად, ს. ნ-უას მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ს. ნ-უას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის
2008 წლის 16 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-241-502-08

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: თანხის გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 დეკემბერს სსიპ «საზოგადოებრივმა მაუწყებელმა» სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» მიმართ თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ «საქტელერადიომაუწყებლობას» (რომლის სამართალმემკვიდრე ამჟამად არის სიპ «საზოგადოებრივი მაუწყებელი») და «ეარ ბისეკს» შორის (ამჟამად ამ ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე არის შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზები») 2002 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა #286 ხელშეკრულება, რომელიც ატარებდა ბარტერულ ხასიათს, ხოლო სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 16000 აშშ დოლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული თანხის ფარგლებში, ხელშეკრულების 2.1.4. პუნქტის თანახმად, მოპასუხეს უნდა უზრუნველყო «საქტელერადიომაუწყებლობა» ავიაბილითებით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის არსებულ და მომავალში დამატებულ მის კუთვნილ რეისებზე. თავის მხრივ, «საქტელერადიომაუწყებლობას» მოპასუხისათვის უნდა დაეთმო 16000 აშშ დოლარის ღირებულების სარეკლამო დრო ამ უკანსენელის მიერ მიწოდებული სარეკლამო კლიპების გასავრცელებლად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ არ შეასრულა მის მიერ ნაკისრი ვალდებულება. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს დავალიანების ოდენობის შესადარებლად შედარების აქტის გაფორმების თაობაზე. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2003 წლის ივლისში მოპასუხეს გაუწია 1557 აშშ დოლარის ღირებულების მომსახურება, შესაბამისად მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 1557 აშშ დოლარის დაკისრება სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» სასარგებოდ.

2007 წლის 27 ივნისს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზები», სასამართლომ მისი პროცესზე გამოუცხადებლობა ჩათვალა არასაპატიოდ და დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» სარჩელი.

2007 წლის 31 აგვისტოს შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზებმა» თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა საჩივრით და მოითხოვა 2007 წლის 27 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» საჩივრით არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ამავე სასამართლოს 2007 წლის 27 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

განჩინება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს «საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა» და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების», სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს, შპს «საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს», ჩაჰბარდა 2007 წლის 16 ნოემბერს. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2007 წლის 17 ნოემბრიდან. აღნიშნული ვადა იწურებოდა 2007 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2007 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. სააპელაციო საჩივარი შპს «საქართველოს ნაციონალურ ავიახაზების» მიერ შეტანილი იქნა 2007 წლის 3 დეკემბერს,

კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რაც პალატის აზრით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში შპს «საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა».

მისი განმარტებით მას გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა 16 ნოემბერს, არამედ - 17 ნოემბერს.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, მას განჩინება რომც ჩაჰბარებოდა 16 ნოემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მომდევნო დღიდან 17 ნოემბრიდან და ამ შემთხვევაში მე-14 დღე უწყევდა 1 დეკემბერი. პირველი დეკემბერი კი იყო შაბათი - არასამუშაო დღე, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად ვადამ გადაიწია მომდევნო სამუშაო დღემდე ანუ 3 დეკემბრამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გეცნო შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» კერძო საჩივარს და თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» მიერ 2007 წლის 3 დეკემბერს სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე,

საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ აღნიშნული განჩინება მხარეს ჩაჰბარდა 2007 წლის 16 ნოემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ შპს «საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა» სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ვადები დაარღვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამავ კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვადის დენა დაიწყო 17 ნოემბრიდან, ვინაიდან მხარეს განჩინება ჩაჰბარდა 16 ნოემბერს და აღნიშნული ვადა ამოიწურა 30 ნოემბერს და არა 1 დეკემბერს, როგორც ეს კერძო საჩივარშია მითითებული. ვადის ათვლისას მხედველობაში მიიღება და გასაანგარიშებელ ვადაში ჩაითვლება 17 ნოემბერიც, რისი გათვალისწინებითაც მე-14 დღე უწყევდა 30 ნოემბერს.

რაც შეეხება შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» დირექტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მას უწყება პირადად ჩაჰბარდა 17 ნოემბერს და შესაბამისად არ გაუშვია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოცემულ საქმეში მხარეს წარმოადგენს იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და არა ფიზიკური პირი გ. კ-უა, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინება ჩაჰბარდა 16 ნოემბერს, რაც ხელმოწერილია და დამოწმებულია შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» ბეჭდით, ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგო დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. საჩივარი და საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შპს «საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა» დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან მან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» სააპელაციო საჩივარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს «საქართველოს ნაციონალური ავიახაზების» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შემოტანის ვადა

განჩინება

ას-384-633-08 19 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-შვილის მიმართ ზიანის - 1640 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1996 წლის 7 სექტემბერს მოპასუხის ბრალით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა მოსარჩელის მეუღლე ფ. უ-შვილი, რის გამოც გ. მ-შვილი მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში და სასჯელის სახით აღევქმნა თავისუფლება. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გ. მ-შვილს დაეკისრა მოსარჩელის მეუღლის დაკრძალვის ხარჯების - 1075 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა ა. მ-შვილის შუამდგომლობა და მიღებულ იქნა ახალი მტკიცებულებები, კერძოდ, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის მოსამზადებელი სხდომის ოქმისა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების ასლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ გ.მ-შვილის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი გამოვლინდა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდგომ. ა. მ-შვილის მიერ წარმოდგენილი თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმსა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე 2003 წლის 13 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2007 წლის 28 მაისს მოპასუხე გ. მ-შვილმა მიიღო აღმასრულებლის წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ, თუმცა მოგვიანებით გ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კახეთის სააღსრულებო ბიუროსა და მესამე პირის - ა. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა ნებაყოფლობითი აღსრულების წინადადების ბათილად ცნობა, ასევე სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან - 1997 წლის 3 იანვრიდან გასულია 10 წელზე მეტი, რაც, «სააღსრულებო წარმოებაში შესახებ» კანონის 34-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულების შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, სამოქალაქო საქმე - ა. მ-შვილის სარჩელის გამო გ. მ-შვილის მიმართ ნაწარმოებია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. მ-შვილისათვის გასაჩივრებული სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი იყო 2007 წლის 21 სექტემბრისთვის მაინც, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ შეიტანა 2007 წლის 22 ნოემბერს, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, როდესაც მიუთითა, რომ, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის

გადაწყვეტილების თანახმად, გ. მ-შვილისათვის ცნობილი გახდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებანი, ვინაიდან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ იყო. სააპელაციო პალატამ ასევე, არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა აითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდება გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება აპელანტმა ჩაიბარა 2007 წლის 8 ნოემბერს. ამდენად, სადავო სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი ვადის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილი და მოწინააღმდეგე მხარისათვის გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის გაგზავნისას ა. მ-შვილს არ განუსაზღვრა ვადა აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საპროცესო დოკუმენტების წარმოსადგენად. შემდეგ კი არასწორად მიიღო ა.მ-შვილის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი და 21 სექტემბრის გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილს დაეკისრა ა. მ-შვილის საარგებლოდ 1075 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით გ. მ-შვილს სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადაუვადდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ 2007 წლის 28 მაისს გ. მ-შვილმა წინადადება მიიღო სააღსრულებო ბიუროდან ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. 2007 წლის 17 ოქტომბერს მოპასუხე მხარემ განცხადებით მიმართა სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლის მიღების შესახებ, რომელიც ამავე წლის 8 ნოემბერს ჩაჰბარდა წარმომადგენლის მეშვეობით. 2007 წლის 22 ნოემბერს გ. მ-შვილმა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელიც სააპელაციო პალატამ წარმოებაში მიიღო, თუმცა 2008 წლის 6 თებერვალს ა. მ-შვილის მიერ ახალი მტკიცებულებების - თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის მოსამზადებელი სხდომის ოქმისა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების ასლების წარდგენის შემდეგ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს მხარის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით ირკვევა, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება აპელანტ მხარეს ჩაჰბარდა 2007 წლის 8 ნოემბერს, თუმცა საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ გ. მ-შვილი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას გაეცნო ჯერ კიდევ 2007 წლის 21 სექტემბრისათვის. აღნიშნულ დასკვნას საფუძვლად უდევს საქმეში წარმოდგენილი თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული გ.მ-შვილის წარმომადგენელ ი.პეტრიაშვილის განმარტება, რომ მის მიერ «მომიებულ იქნა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული სამოქალაქო საქმე, რომელზედაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება და ამ ეტაპზე მოსარჩელე გ. მ-შვილს დაეკისრა მოპასუხე ა. მ-შვილი სასარგებლოდ 1075 ლარის გადახდა». ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლით სწორად შეაფასა ზემოთ მოყვანილი მხარის განმარტება, სადავო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 2007 წლის 21 სექტემბრიდან მართებულად აითვალა და 2007 წლის 22 ნოემბერს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით შეტანილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ჩათვალა.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით, გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის მოწინააღმდეგე მხარისათვის გაგზავნისას ა. მ-შვილს მტკიცებულებათა წარდგენის ვადა არ განუსაზღვრა, ვინაიდან აღნიშნულით აპელანტის კანონიერი ინტერესები არ დარღვეულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ.მ-შვილს უნდა დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელი.

გ. მ-შვილს დაევალოს სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა შემდეგ რეკვიზიტებზე: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - #220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-399-647-08

28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: იურიდიული ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 12 ნოემბერს ვ. ჯ-ავამ განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული ფაქტის დადგენა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. ჯ-ავას განცხადება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თავისივე მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 28 თებერვალს.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი - კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 29 თებერვლიდან და ამოიწურა 2008 წლის 13 მარტს.

აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2008 წლის 14 მარტს, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვ. ჯ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 28 თებერვალს. თავდაცვის სამინისტრომ სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ტელეგრაფის საშუალებით გაასაჩივრა ამა წლის 12 მარტს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა ყოვლად უსაფუძვლოა, რადგან როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს გასაჩივრების ვადა ამოიწურა 13 მარტს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა 12 მარტს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის შესაბამისად დადგენილ ვადაში შესრულებულ მოქმედებად ითვლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია რომ სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩაჰბარდა 2008 წლის 28 თებერვალს.

ასევე დადგენილია, რომ თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 14 მარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თავდაცვის სამინისტროს სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 28 თებერვალს რომელიც მას უნდა გაესაჩივრებინა კანონით განსაზღვრულ 14 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ დეპუშას, რომლითაც მხარე მიიჩნევს, რომ ასაჩივრებს სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ პასუხობს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ვ. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-410-656-08

23 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დავალიანების დარიცხვის შესახებ აქტის ბათილად ცნობა, უკანონოდ დარიცხული დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ხ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «თელასის» მიმართ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობისა და უკანონოდ დარიცხული დავალიანების - 3000 ლარის გადახ-

დისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლით: ქ. თბილისში, ... ქ. #16-ში მდებარე ბინა მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს, თუმცა 2002 წლიდან იგი საცხოვრებლად გადავიდა დაბა ... სს «თელასის» კომერციული პრეტენზიების სამსახურის 2007 წლის 18 მაისის #6-3030 წერილით გ. ხ-მემ შეიტყო, რომ 2007 წლის 27 მარტს ელექტროენერჯის დატაცების ფაქტთან დაკავშირებით შედგა აქტი და მას დაეკისრა დავალიანების - 3000 ლარის გადახდა. ფაქტობრივად, მოსარჩელეს ელექტროენერჯია არ დაუტაცებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინებით გ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გ. ხ-მეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებული ასლი გადაეცა 2008 წლის 7 თებერვალს და სააპელაციო საჩივარი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შეიტანა ამავე წლის 22 თებერვალს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა. პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 63-ე მუხლით და სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევით შეტანილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ხ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აპელანტს საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2008 წლის 7 თებერვალს. მითითებულ დროს სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა ხაშურის საფოსტო განყოფილებას, რასაც ადასტურებს კერძო საჩივარზე დართულ კონვერტზე დასმული 2008 წლის 7 თებერვლით დათარიღებული ხაშურის საფოსტო განყოფილების ბეჭედი. ცხადია, რომ ხაშურის რაიონული ფოსტის მიერ სასამართლო გზავნილის 2008 წლის 7 თებერვალს მიღების პირობებში, მითითებული გზავნილი იმავე დღეს დაბა ... მყოფ გ. ხ-მეს ვერ ჩაბარდებოდა, არამედ იგი ადრესატს გადაეცა მომდევნო დღეს - 8 თებერვალს.

მოცემული საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ დასახელებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მოსარჩელეს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 7 თებერვალს, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ შეიტანა 2008 წლის 22 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 21 მარტის განჩინებით გ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი, როგორც კანონით დადგენილი ვადის დარღვევით შეტანილი, განუხილველად დატოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გ.ხ-მეს ჩაბარდა 2008 წლის 7 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 8 თებერვლიდან და, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ამოიწურა 2008 წლის 21 თებერვალს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 8 თებერვალს საფოსტო გზავნილი მეშვეობით და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაც სწორედ ამ მომენტიდან უნდა აითვალოს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილი ადასტურებს გ.ხ-მის მიერ სადავო გადაწყვეტილების ასლის 2008 წლის 7 თებერვალს პირადად ჩაბარების ფაქტს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა 2008 წლის 7 თებერვლიდან სწორად აითვალა და დარღვეულად მართებულად ჩათვალა, რადგან გ.ხ-მემ

სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 22 თებერვალს, აპელანტის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ხ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-245-504-08 25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ს-ულოსის წინააღმდეგ მატერიალური და მორალური ზიანის შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. ქობულეთში, ... ქ. #27ა-ში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრეა მოპასუხე ი. ს-ულესი. იგი 1990 წლიდან საცხოვრებლად წასულია საბერძნეთში. იგი ყურადღებას არ აქცევს სახლს, საცხოვრებელი სახლის ნაწილი დაინგრა, დაზიანდა საზიარო კედელი, შენობამ განიცადა საერთო დეფორმაცია და აღდგენას არ ექვემდებარება. მან არაერთხელ შეუთვალა მოპასუხეს გაემაგრებინა საცხოვრებელი სახლი ან მიეყიდა მისთვის, რაც მან არ შეასრულა. ამის გამო იგი იძულებული იყო, ყოველწლიურად საკუთარი სახსრებით გაემაგრებინა როგორც თავისი, ასევე, ი. ს-ულოსს კუთვნილი სახლი. 2006 წელს მოპასუხე დასთანხმდა თავისი სახლი მიეყიდა მისთვის, მაგრამ ბოლოს შეთანხმებული თანხა, 5000 აშშ დოლარი 20000 დოლარამდე გაზარდა, რის გამოც შეთანხმება ჩაიშალა. ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე აპირებდა თავისი საცხოვრებელი სახლის გასხვისებას. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ მოითხოვა მიყენებული მორალური ზიანის - 5000 ლარის დაკისრება და, ასევე, მოპასუხის დავალდებულება თავისი საცხოვრებელი სახლის მასთან საზიარო მხარის დანგრევისა და ადგილის მოსწორება - ამალეების თაობაზე საერთო საკუთრებაში არსებული 300 კვ. მიწის ნაკვეთის გამიჯვნა. მოსარჩელის მოთხოვნით, საქმეში თანამოპასუხედ ასევე ჩაბმულ იქნა ი. ს-ულოსის შვილი გ-ოსი.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაიმიჯნა შ. ბ-შვილისა და გეორგიოს ს-ულესის საერთო საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შ. ბ-შვილი ცნობილ იქნა ქ. ქობულეთში, ... ქ. #27ა-ში მდებარე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. მოპასუხეს დაევალი საერთო საკუთრებაში, თავისი წილის შესაბამისად მოსარჩელესთან საზიარო კედლის გასაგრებისათვის საჭირო ხარჯების ნახევრის გადახდა, ასევე დაევალი, მოსარჩელესთან ერთად უზრუნველყოს საერთო საკუთრებაში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის დანგრევა და სამშენებლო ნარჩენების გატანა, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შ. ბ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის განჩინებით შ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შ. ბ-შვილმა. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 იანვარს სამარშუტო ტაქსის მძღოლს გადასცა სააპელაციო საჩივარი, რათა მას შეეტანა სააპელაციო სასამართლოში. რთული კლიმატური პირობების გამო მძღოლმა ვერ შეძლო სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანა სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

დადგენილია, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება შ. ბ-შვილს ჩაჰბარდა 2007 წლის 19 დეკემბერს. მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 14 იანვარს, ე.ი. გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით. მას სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა არა 14 იანვარს, არამედ 2008 წლის 3 იანვარს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ მან სამარშუტო ტაქსის მძღოლს გადასცა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შესატანად და რთული კლიმატური პირობების გამო ვერ შეიტანა დროულად სასამართლოში სააპელაციო საჩივარი. საკასაციო პალატის აზრით, მას შეეძლო ფოსტის მეშვეობით დროულად გაეგზავნა სასამართლოში სააპელაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი არ იყო შეტანილი გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა შ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 12 თებერვლის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-378-627-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს შსს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს სარჩელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა - მოპასუხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შსს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 90530 ლარისა და 80 თეთრის გადახდა. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, ჩამოყალიბდა დასაბუთების გარეშე.

2007 წლის 26 ნოემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გ. ხ-უამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გ. ხ-უას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გ. ხ-უამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მათი წარმომადგენელი, რომელსაც გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა, ხოლო საქმეში არ მოიპოვება უნივერსიტეტისათვის გადაწყვეტილების ასლის, სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მიხედვით, ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, შესაბამისად, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გ. ხ-უას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დროს მოქმედი 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის, ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, გადაგზავნის დრო.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გ. ხ-უას მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიღებულია 2001 წლის 21 თებერვალს. სააპელაციო საჩივარი კი სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 26 ნოემბერს ანუ ექვსი წლის გასვლის შემდეგ. გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სააპელაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელი იყო ერთი თვის განმავლობაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით მიღების დღიდან.

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. ხ-უა განმარტავს, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მათი წარმომადგენელი, რომელსაც გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა, ხოლო საქმეში არ მოიპოვება უნივერსიტეტისათვის გადაწყვეტილების ასლის, სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მიხედვით, ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, შესაბამისად, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება კანონიერ ძალაში შესულად. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ გადაწყვეტილების შესახებ მხარემ ჯერ კიდევ 2001 წლის 27 ივნისს იცოდა და მას არ გამოუყენებია მისთვის კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება, კერძოდ, 2001 წლის 27 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა და მთავარმა იურისკონსულტმა საქმის განმხილველ სასამართლოს მიმართეს განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე იმ საფუძველით, რომ დაუფინანსებლობის გამო ვერ შეძლებდნენ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას. 2001 წლის 12 ივლისის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, რომელიც კერძო საჩივრით გასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარემ. თბილისის საოლქო სასამართლოში აღნიშნულ კერძო საჩივარზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის წარმომადგენელი. აღნიშნულით დასტურდება, რომ მისთვის ცნობილი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი და ისიც, თუ რომელი გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების პროცესში იღებდა მონაწილეობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის განხილვაში მონაწილეობით აპელანტი დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას, მხოლოდ სადავოდ გახადა მისი აღსრულება.

გარდა ამისა, საქმის მასალების მიხედვით, 2001 წლის 28 მარტს ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩაჰბარდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, საქმეში არსებობს ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისკონსულტის - ლ. დ-იანის განცხადება სასამართლო სხდომის ოქმის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაიბარა 2001 წლის 26 ივნისს.

საკასაციო სასამართლოს აზრით, ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის რაიონული გადაწყვეტილების თაობაზე ადრევე იყო ცნობილი, თუმცა კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება კანონით დადგენილ ვადაში არ გამოუყენებია, რის გამოც მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გ. ხ-უას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-342-594-08 2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» წინააღმდეგ თანხის დაკისრების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკვეთით მოპასუხეს უნდა ჩაეტარებინა დამკვეთის მიერ განსაზღვრულ პირთა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 2004 წლის 18 ოქტომბერს სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა» ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარა ფინანსური პოლიციის 109 მოხელეს. შემოწმების შედეგად 5 მოხელეს დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი. ამასთან დაკავშირებით ფინანსური პოლიციის უფროსმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წერილის საფუძველზე, «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად ეს თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლა.

განთავისუფლებულ მოხელეთა ინიციატივით კომისიური ექსპერტიზის შედეგები ხელახლა გადამოწმდა, რის შედეგადაც ექსპერტიზამ უარყო დალუქულ ანალიზებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა არსებობის ფაქტი. ფინანსური პოლიციის ყოფილმა მოხელეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს სამსახურში აღდგენის და ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით. გლდანი-ნამალადევის რაინულმა სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მოსარჩელის განმარტებით, სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა» არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 9405 ლარისა და 6622.53 ლარის გადახდევინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა», ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განჩინებით სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა» და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი ერთი დღის დაგვიანებით შეიტანეს. თებერვალში 29 კალენდარული დღის ნაცვლად გამოთვალეს 28 დღე, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ 1 დღის დაგვიანებით შეიტანეს სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 იანვრის განჩინებით სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» ჩაჰბარდა 2008 წლის 25 თებერვალს. მისთვის სააპელაციო საჩივრის ვადის დენა დაიწყო მომდევნო დღიდან - 2008 წლის 26 თებერვლიდან. მას სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა 2008 წლის 10 მარტის ჩათვლით, მან კი შეიტანა 2008 წლის 11 მარტს, ანუ 1 დღის დაგვიანებით. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მათ არასწორად დათვალეს თებერვლის კალენდარული დღეები და ამიტომაც შეეშალათ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი არ იყო შეტანილი გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს «ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განჩინება; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-511-747-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გ. ნ-ძის სარჩელი კ. გ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებით გ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ნ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ასლი მის ძმას ჩაჰბარდა არა 2008 წლის 18 აპრილს, როგორც მითითებულია საფოსტო შეტყობინებაზე, არამედ 2008 წლის 19 აპრილს, ვინაიდან იგი შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე მუშაობს სს «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში» იურისტად, ხოლო 2008 წლის 18 აპრილი იყო პარასკევი და, შესაბამისად, იგი გადაწყვეტილებას სამსახურში ყოფნის გამო ვერ ჩაიბარებდა, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სს «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანის» დირექტორის მიერ გაცემული ცნობა. ამდენად, მას გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ნ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაპბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ასლი გ. ნ-ძის ძმს დ. ნ-ძეს ფოსტის მეშვეობით ჩაპბარდა 2008 წლის 18 აპრილს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2008 წლის 5 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2008 წლის 2 მაისი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი მის ძმას ჩაპბარდა არა 2008 წლის 18 აპრილს, როგორც მითითებულია საფოსტო შეტყობინებაზე, არამედ 2008 წლის 19 აპრილს, ვინაიდან იგი შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე მუშაობს ს.ს «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში» იურისტად, ხოლო 2008 წლის 18 აპრილი იყო პარასკევი და, შესაბამისად, იგი გადაწყვეტილებას სამსახურში ყოფნის გამო ვერ ჩაიბარებდა, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სს «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანის» დირექტორის მიერ გაცემული ცნობა. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან წარმოდგენილი სს «რუსთავის მეტალურგიულ ქარხანის» დირექტორის მიერ გაცემული ცნობა არ აბათილებს საფოსტო შეტყობინებაზე მითითებულ გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღს. მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება თავად კერძო საჩივრის ავტორს, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში კი გ. ნ-ძემ ვერ დაამტკიცა ის გარემოებანი, რომლებზედაც დაამყარა თავისი მოთხოვნა.

ამდენად, გ. ნ-ძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ნ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-524-757-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 მაისს, ქ. ე-შვილმა და ს. ბ-შვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ნ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვეს, ფაქტობრივად ფლობის გამო, სამკვიდრო ქონების მიღებულად და წილის მოთხოვნის ვადის გადაცილების საპატიოდ ჩათვლა, ქ. და ც. ე-შვილების და ს. ბ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეებად და მესაკუთრეებად ცნობა თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე ბინაზე და მოპასუხისათვის გასხვისებული ქონების მოსარჩევეების ხვედრითი 3/4-ის ღირებულების - 37500 ლარის გადახდის დაკისრება მათ სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ს. ბ-შვილისა და ქ. ე-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს. ბ-შვილმა და ქ. ე-შვილმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის განჩინებით, ს. ბ-შვილისა და ქ. ე-შვილის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. ბ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის განჩინების გაუქმება და გასაჩივრების ვადის გადაცილების საპატიოდ ჩათვლა იმ საფუძველით, რომ იმყოფებოდა ავად, რის გამოც ვერ მოახერხა სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ს. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილების ასლი ს. ბ-შვილს ჩააბარდა 2008 წლის 23 აპრილს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2008 წლის 13 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2008 წლის 7 მაისი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიო მიზეზით მოხდა, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

მითითებული მუხლის თანახმად, კანონისმიერ ვადის აღდგენა დაუშვებელია თუ კანონი თვითონ კრძალავს ამას (369-ე, 397-ე, 416-ე მუხლები), მაგრამ თუ ეს აკრძალული არაა, სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ვადა, თუ ამ ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა (სსკ-ის 215-ე მუხლი)

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისი სააპელაციო საჩივრის შემოტანის ვადის დარღვევა 6 დღით გამოიწვია მისმა ავადმყოფობამ, იგი ლოჯინად იყო ჩავარდნილი, არ ჰქონდა სხვა პირთან დაკავშირების საშუალება, არც ადვოკატთან, რომელსაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი არ მიუღია, ვიდრე ერევიდან არ ჩამოვიდა მისი ქალიშვილი. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს იმ მოტივით, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

65-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადის აღდგენის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, კანონი თავად კრძალავს კანონისმიერი ვადის აღდგენას, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილების ასლი ს. ბ-შვილს ჩაბარდა 2008 წლის 23 აპრილს, მას აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაესაჩივრებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაუგვიანეს 2008 წლის 7 მაისისა.

ამდენად, ს. ბ-შვილის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებელია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი მართებულად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ს. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-537-770-08

21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 იანვარს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ლ-იამ მოპასუხე ზ. ლ-იას მიმართ. მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა სამტრედიაში, ... ქ. #14-ში მდებარე #24 ბინაში წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით ზ. ლ-იასათვის ბინის საბაზრო ღირებულების ანაზღაურებაზე და აღნიშნულთან მიმართებაში ითხოვა მოპასუხის მიერ ხელშეშლის აღკვეთა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოპასუხე არის ნ. ლ-იას შვილი. მოსარჩელე ცხოვრობს სამტრედიაში, ... ქ. #14/24-ში მდებარე სამოთახიან, იზოლირებულ ბინაში. მითითებულ ბინაში მასთან ერთად ცხოვრობს მოპასუხე ცოლ-შვილით. ბინა პრივატიზებულია ნ. ლ-იას სახელზე, იგი საჯარო რეესტრშიც ბინის მესაკუთრედაა რეგისტრირებული. მოსარჩელის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება 66.5%-ით, ხოლო მოპასუხის წილი შეადგენს 33.5%-ს. ბინა მთლიანობაში შეფასებულია 18 000 ლარად და, შესაბამისად, 66.5%-ის ფასი შეადგენს 12 000 ლარს, ხოლო 33.5%-ის - 6000 ლარს.

იმის გამო, რომ ნ. ლ-ია შვილთან და რძალთან კონფლიქტურ ურთიერთობაშია, სურვილი აქვს ბინის გაყიდვის, რაზეც მოპასუხე წინააღმდეგია და ხელს უშლის მის რეალიზაციაში. ბინის გაყიდვის შემთხვევაში მოსარჩელე თანახმაა გადაუხადოს მოპასუხეს შესაბამისი კომპენსაცია.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება

ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე ნ. ლ-ის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ხელშეშლელი გარემოებების აღკვეთაში მოსარჩელე გულისხმობდა მოპასუხის დავალდებულებას, საბაზრო ფასების გათვალისწინებით მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა მისი წილის შესაბამისი თანხა, რომელიც შეადგენდა 66.5%-ს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით და თავად მოსარჩელის განცხადებით დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ლ-ია სადავო საერთო ფართიდან საკუთრების უფლებით ფლობდა 66.5%-ს, დანარჩენი 33.5%-ის მესაკუთრეს კი ზ. ლ-ია წარმოადგენდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტა, რომ საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, რაც გულისხმობს, რომ არავის აქვს უფლება, რაიმე ფორმით შეზღუდოს სხვისი საკუთრება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სასამართლოს მიერ დამტკიცებული მხარეთა შორის მორიგების აქტი, რომლის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, ამასთან, არ არსებობდა ზ. ლ-ისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო მექანიზმი, მის საკუთრების უფლებას იცავდა საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ნ. ლ-ის ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა 2008 წლის 21 მარტს, რომელიც 2008 წლის 14 აპრილს ჩაიბარა მისმა შვილმა ზ. ლ-იამ. სააპელაციო საჩივარი ნ. ლ-ის მიერ სამტრედიის რაიონულ სასამართლოში შეტანილ იქნა 2008 წლის 16 მაისს, ანუ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვადადარღვევით შეტანილ სააპელაციო საჩივარზე კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება (აღდგენა) დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ლ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლიდან გამომდინარე, ზოგადად დასაშვებად მიიჩნევს მხარისათვის განკუთვნილი სასამართლო უწყების მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრზე ჩაბარებას, მაგრამ აღნიშნულს გამორიცხავს იმ შემთხვევაში, როცა ისინი ერთმანეთთან კონფლიქტურ ურთიერთობაში იმყოფებიან. ზ. ლ-ია, რომელსაც მოსარჩელის კუთვნილი სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა, სრულიად ბუნებრივია, რომ დაინტერესებული იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევით. აღნიშნული გზავნილი (გახსნილ მდგომარეობაში) კერძო საჩივრის ავტორს მოპასუხემ მხოლოდ 2008 წლის 21 აპრილს გადასცა. შესაბამისად, ზ. ლ-იამ იცოდა, როდის გადიოდა სასამართლოში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა და შეგნებულად დაავგვიანა კერძო საჩივრის ავტორისათვის მისი გადაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამტრედიის რაიონული 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ მათ მიერ მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ მოსარჩელე ნ. ლ-ისათვის განკუთვნილი

სასამართლო გზავნილი ჩაიბარა მისმა შვილმა ზ. ლ-იამ, რომელიც იმავდროულად მოცემულ საქმეზე წარმოდგენს მოწინააღმდეგე მხარეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვების ექვემდებარება.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილების გზავნილი 2008 წლის 21 აპრილს გადასცა. მას აღნიშნულ დღეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამოწურული, 2008 წლის 14 აპრილის ჩაბარებიდან ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივრის შეტანის საპროცესო უფლების რეალიზების შესაძლებლობა მხოლოდ 2008 წლის 28 აპრილს ამოწურა. დროის ამ მონაკვეთში კერძო საჩივრის ავტორმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა. ამასთან, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის დასაწყისად 2008 წლის 21 აპრილის მიჩნევის შემთხვევაშიც კი ნ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყებოდა 2008 წლის 22 აპრილს და დასრულდებოდა 2008 წლის 5 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე - ორშაბათი, ხოლო სააპელაციო საჩივარი ნ. ლ-იამ მხოლოდ 2008 წლის 16 მაისს წარადგინა. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორმა ზემომითითებულ ორივე შემთხვევაში გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-667-888-08

10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ტ-მის სარჩელი ლ. ც-მის, შ. ჯ-მისა და შპს «სამოქალაქო საქმეთა მულტიმედიოქმედი არბიტრაჟის» მიმართ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ტ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ი. ტ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ტ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან მან სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში

შეიტანა, მაგრამ კანცელარიამ უკან დაუბრუნა გადასაწერად, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ი. ტ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი ი. ტ-ძეს ჩააბარდა 2008 წლის 14 აპრილს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2008 წლის 30 აპრილს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რადგანაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მეორე ნაწილების თანახმად, იყო 2008 წლის 29 აპრილი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, 2008 წლის 29 აპრილს ავადმყოფობის გამო, სასამართლოში წარსადგენად გაატანა მამას - რ. ტ-ძეს, თუმცა კანცელარიის თანამშრომელმა უკან გამოატანა და განუმარტა, რომ სპეციალური ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა შემოეტანა, შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის საპატიოდ ჩათვლა. მითითებულ განმარტებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება თავად კერძო საჩივრის ავტორს, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში კი ი. ტ-ძემ ვერ დაამტკიცა ის გარემოებანი, რომლებზედაც დაამყარა თავისი მოთხოვნა, კერძოდ, ვერ დაამტკიცა, რომ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 29 აპრილს.

ამდენად, ი. ტ-ძის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის დარღვევით და შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად და არ არსებობს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- ი. ტ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-613-839-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 26 ივლისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს შპს «კუს ტბის» პარტნიორებმა: ი. კ-ძემ, რ. გ-იანმა, რ. ს-შვილმა, ა. კ-ძემ, თ. მ-ძემ და ნ. კ-ძემ მოპასუხეების: გ. წ-ანის, ფირმა «ექსტ ინტერნეშენალისა» და ნოტარიუს შ. კ-ძის, მესამე პირების: ვ. კ-ძის, მ. გ-ძის და პ. ბ-ერის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ფირმა «ექსტ ინტერნეშენალის» მიერ ვ. კ-ძესთან, მ. გ-ძესთან, გ. წ-ანთან და პ. ბ-ერთან 1997 წლის 10 ნოემბერს დადებული წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს «კუს ტბის» პარტნიორების: ი. კ-ძის, რ. გ-იანის, ა. კ-ძის, თ. მ-ძისა და ნ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მათი გამოუცხადებლობის გამო.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს ი. კ-ძემ (წარმომადგენელი ი. ნ-უა), რ. გ-იანმა, ა. კ-ძემ, თ. მ-ძემ და ნ. კ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინებით ი. კ-ძის (წარმომადგენელი ი. ნ-უა), რ. გ-იანის, ა. კ-ძის, თ. მ-ძისა და ნ. კ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2003 წლის 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2008 წლის 30 აპრილს რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-ძემ (წარმომადგენელი მ. პ-აია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის არსებითად განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ი. კ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინება ი. კ-ძის წარმომადგენელ ი. ნ-უას (რომელსაც იმ დროისათვის გააჩნდა მარწმუნებლის სახელით სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება) ჩაჰბარდა 2003 წლის 16 ივნისს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2003 წელს მოქმედი რედაქცია) და განმარტა, რომ მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს და ადგილი. უწყება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსით გათვალისწინებულ სუბიექტს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. კანონის აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია ი. კ-ძეზე. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 2003 წლის 1 ივლისს, ხოლო რამდენადაც ი. კ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 30 აპრილს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადა დარღვეული იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. კ-ძემ (წარმომადგენელი მ. პ-აია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და იმავე სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის 2003 წლისათვის მოქმედი რედაქცია, რომელიც გასაჩივრებული განჩინების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. სადავო პერიოდში კანონის აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენდა სასამართლო უწყების როგორც მხარის, ასევე მისი წარმომადგენლისათვის გაგზავნის ვალდებულებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ განუხორციელებია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინება ი. კ-ძეს პირადად არ ჩაჰბარებია, აღნიშნული განჩინება მხოლოდ მის წარმომადგენელ ი. ნ-უას ჩაჰბარდა. შესაბამისად, დროის დასახელებულ მონაკვეთში გასაჩივრების ვადის დენა ი. კ-ძის მიმართ ვერ დაიწყებოდა. მისთვის აღნიშნული განჩინების ოფიციალურად გადაცემა მხოლოდ 2008 წლის 17 აპრილს გახდა შესაძლებელი, რასაც საქმეში არსებული მასალებიც ადასტურებს. რაიონული სასამართლოს განჩინების გასაჩივრების საპროცესო ვადის ათვლა სწორედ ამ უკანასკნელ თარიღს უნდა დაუკავშირდეს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მისი მომდევნო დღიდან, კერძოდ, 18 აპრილიდან დაიწყოს, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარი ვადაში წარდგენილად ითვლება.

იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი 2007 წლის 28 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად სხვაგვარი სახით ჩამოყალიბდა, კერძოდ, სასამართლოს მხარისა და მისი წარმომადგენლისათვის (ორივე მათგანისათვის) სასამართლო უწყების გაგზავნის ვალდებულება მოეხსნა, სამართლებრივი უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებული

პრინციპიდან გამომდინარე, კანონის ამჟამინდელი რედაქცია სადავო პერიოდზე უკუქცევითი ძალითაც ვერ გავრცელდება, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში პირის მდგომარეობა გაუარესდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინება მოსარჩელე ი. კ-ძის წარმომადგენელ ი. ნ-უას, რომელსაც მარწმუნებლის სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა, ჩაჰბარდა 2003 წლის 22 მაისს. შპს «კუს ტბის» დანარჩენ პარტნიორებს, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ საქმეში თანამოსარჩელეებად, რაიონული სასამართლოს აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდათ 2003 წლის ივნისში. მათ ეს განჩინება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ. ი. კ-ძემ სააპელაციო საჩივარი აღნიშნულ განჩინებაზე 2008 წლის 26 აპრილს – მისი წარმომადგენლისა და სხვა პარტნიორების მიერ განჩინების ჩაბარებიდან დაახლოებით 4 წლისა და 11 თვის გასვლის შემდეგ შეიტანა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ი. კ-ძის სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი ერთთვიანი გასაჩივრების ვადის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ დროს მოქმედი რედაქცია) გაშვების შემდეგ, რამდენადაც საქმის გარემოებები იძლევა ყველა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ი. კ-ძეს, რომელიც იყო ი. ნ-უას მარწმუნებელი, გადაეცა და იცოდა აღნიშნული განჩინების თაობაზე, ხოლო თავად კერძო საჩივრის ავტორი ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს მიუთითებს. კერძო საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს, რომ მას რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ გადასცემია და 4 წლისა და 11 თვის განმავლობაში აღნიშნულის თაობაზე მისთვის ცნობილი არ გამხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. კ-ძის (წარმომადგენელი მ. პ-აია) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-648-870-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლება

კერძო საჩივრის დავის საგანი - სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ი. გ-შვილმა მოპასუხე ნ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, ... ქ. #48-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებული ფართიდან მოპასუხისა და მისი თანმხლები პირების გამოსახლება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1999 წელს ი. გ-შვილსა და მოპასუხეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ 1 წლით ისესხა 5000 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის სახელზე რიცხული თბილისში, ... ქ. #48-ში მდებარე 17კვ.მ ბინა.

მოპასუხებმ სესხის დროულად დაბრუნება ვერ შეძლო, რის გამოც მისი სარჩელის საფუძველზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით ნ. კ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10 700 აშშ დოლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით გადახდევინება მიქცეულ იქნა იპოთეკით დატვირთულ, ზემოაღნიშნულ ბინაზე. დასახელებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების პროცესში ბინის გაყიდვა ვერ მოხერხდა და ორი უშედეგო აუქციონის შემდეგ, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 20 აპრილის განკარგულებით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება მოსარჩელეს გადაეცა ნატურით. აღნიშნულის შედეგად ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში ი. გ-შვილი დარეგისტრირდა. შესაბამისად, მოსარჩელეს გააჩნდა მის საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად ფლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, რის საშუალებასაც მოპასუხე არ აძლევდა და რაც მისი უფლებების დარღვევაზე მიუთითებდა.

2007 წლის 13 აგვისტოს ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელემ მოპასუხეებად დამატებით ბექა და ბესო ამირანაშვილები დაასახელა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა თბილისში, ... ქ. #48-ში, პირველ სართულზე მდებარე ი. გ-შვილის კუთვნილი 17.00/631.00 საცხოვრებელი ფართიდან მოპასუხეების გამოსახლება და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ფართის მოსარჩელისათვის გადაცემა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-შვილი წარმოადგენდა თბილისში, ... ქ. #48-ში მდებარე საცხოვრებელი 17კვ.მ-ის მესაკუთრეს. აღნიშნულ ფართს ფლობდნენ ნ. კ-ძე, ბესარიონ და ბექა ამირანაშვილები, რომლებმაც ვერ შეძლეს დაესაბუთებინათ, რომ მათ ამ ფართის ფლობის უფლება გააჩნდათ. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების შინაარსისა და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

2008 წლის 14 მარტს ი. გ-შვილმა იმავე სასამართლოში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მარტის განჩინებით ი. გ-შვილის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანით მოსარჩელისათვის გადასაცემი ფართის დაკონკრეტება, კერძოდ, მოპასუხის გამოსახლება თბილისში, ... ქ. #48-ში, პირველ სართულზე მდებარე 17 კვ.მ იზოლირებული ფართიდან, რომელშიც იგულისხმება შესაბამისი საცხოვრებელი და დამხმარე ფართები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება ი. გ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 3 აპრილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში მისთვის სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2008 წლის 4 აპრილს. ამავე კოდექსის 61-ე მუხლიდან გამომდინარე, ვადა ამოიწურა 2008 წლის 17 აპრილს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, დარჩება განუხილველი. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რამდენადაც ი. გ-შვილის მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის დარღვევით, აღნიშნული სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ი. გ-შვილმა (წარმომადგენელი მ. ნ-იანი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, შემდეგი მოტივებით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება არც ი. გ-შვილს და არც მის წარმომადგენელს არც ჩაჰბარებია. ი. გ-შვილისათვის განკუთვნილი საფოსტო გზაგანილის ჩაბარების დასტური, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი, მისთვის უცნობი პირის მიერაა ხელმოწერილი.

დასტურზე არსებული ბეჭდით დგინდება, რომ საფოსტო გზავნილი ბაღდათის სახალხო ფოსტაში 04.04.2008 წ. შევიდა, რაც გამორიცხავს აღნიშნული გზავნილის ი. გ-შვილისათვის 3 აპრილს ჩაბარებას.

იმ გარემოებას, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე ხელმოწერი პირი - ც. ე-ძე ი. გ-შვილის დედას არ წარმოადგენს, კერძო საჩივრის ავტორი ასაბუთებს მის მიერ წარდგენილი ც. გ-შვილის პირადობისა და ი. გ-შვილის დაბადების მოწმობებით. მისი აზრით, დასახელებული მტკიცებულებები გარკვევით მიუთითებს მოსარჩელის დედის გვარს - გ-შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-შვილის (წარმომადგენელი მ. ნ-იანი) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება ი. გ-შვილს გაეგზავნა 25 მარტს და ჩაბარდა 2008 წლის 3 აპრილს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ი. გ-შვილმა 2008 წლის 18 აპრილს, ანუ გასაჩივრებისათვის კანონით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დარღვევით შეიტანა. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივარი ი. გ-შვილს არ ჩააბარებია. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გზავნილის ჩაბარების დასტურზე ხელის მოწმურ პირად მითითებულია ი. გ-შვილის დედა - ც. ე-ძე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის უწყების ჩაბარება ჩაითვლება ადრესატისათვის უწყების ჩაბარებად. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, კერძო საჩივრის ავტორი კი მოცემულ შემთხვევაში ვერ ამტკიცებს, რომ ე-ძე არ არის მოსარჩელის დედის ქორწინებამდელი გვარი და რომ ზემოაღნიშნული გზავნილი მოსარჩელის დედას არ ჩააბარებია.

გარდა ამისა, ი. გ-შვილისათვის განკუთვნილ საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე ასახული თარიღის - «3 აპრილი» ნამდვილობას ვერ გააქარწყლებს ამავე დასტურზე დასმულ შტამპზე დაფიქსირებული თარიღი - «4 აპრილი», რამდენადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს არა გზავნილის ადრესატის მიერ ჩაბარების, არამედ შეტყობინების ბაღდათის სახალხო ფოსტიდან გამოსვლის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან ი. გ-შვილმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 63-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის (წარმომადგენელი მ. ნ-იანი) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-659-881-08

13 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

სარჩელის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 იანვარს რ. დ-მემ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. დ-ის მიმართ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ - 2005 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მანამდე იგი ცხოვრობდა ბათუმში, ... ქ. #150-ში მდებარე #17 ბინაში, რომელიც საკუთრებაში გადასცა თავის ვაჟიშვილს, მოპასუხე რ. დ-მეს. ამ უკანასკნელის დაჟინებული თხოვნით 2005 წლის წლის 17 მაისს სოფელ ... არსებული სახლი მოსარჩელემ გააჩუქა შვილიშვილზე. სახლის გაჩუქებაზე არსებითი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მოპასუხე მას სიცოცხლის ბოლომდე სათანადო მოვლა-პატრონობას დაჰპირდა. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც რ. დ-მისათვის ცნობილი გახდა, რომ მოსარჩელე დაოჯახებას აპირებდა, რ. დ-ის მიმართ მისი დამოკიდებულება შეიცვალა, იგი მოსარჩელეს ყოველმხრივ ზღუდავდა და ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევდა. რამდენადაც სადავო ქონების გაჩუქებამ რ. დ-მის საარსებო წყაროს გარეშე დარჩენა გამოიწვია, 2005 წლის 18 მაისის ჩუქების ხელშეკრულება გაუქმებას ექვემდებარებოდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 520-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. რ. დ-ის ჩვენებაზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მის მიმართ ოჯახის წევრები არ იჩენდნენ უმადურობას და უპატივცემულობას და არც შეურაცხყოფას აყენებდნენ მას. მოსარჩელის მოტივაცია, რომ მისმა რძალმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მის არარეგისტრირებულ მეუღლეს და მასთან ერთად არ სადილობდნენ, რაიონულმა სასამართლომ მძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად არ მიიჩნია, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნული მოტივით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებაზე არ დააკმაყოფილა.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინებით რ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება რ. დ-მეს ჩაჰბარდა 2008 წლის 31 მარტს, ხოლო ამ უკანასკნელმა სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 16 აპრილს, ანუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა რ. დ-მემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება მას ჩაჰბარდა არა 2008 წლის 31 მარტს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაშია აღნიშნული, არამედ - 2 აპრილს, რაც არასარწმუნოების შემთხვევაში შეუძლიათ დაადასტურონ მისმა მარწმუნებელმა და შესაბამისმა მოწმემაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, რ. დ-მეს სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა არც ერთი დღით არ დაურღვევია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. დ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინება უცვლელად დარჩეს შემდეგ, გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგინდად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება რ. დ-მეს გაეგზავნა 25 მარტს და ჩაჰბარდა 2008 წლის 31 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე რ. დ-მემ 2008 წლის 16 აპრილს შეიტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი რჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. დ-მემ გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-533-766-08

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-ელის წარმომადგენელმა ე. შ-იამ განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 1988 წლის 10 ნოემბერს სოხუმის მმარის საქალაქო განყოფილებაში ნ. კ-ელია და ლ. ტ-მე ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ და ლ. ტ-მეს მიენიჭა ქმრის გვარი - კ-ელია. ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი. 1992 წელს მათ შორის ფაქტობრივად შეწყდა ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ნ. კ-ელიამ განცხადებით მიმართა გულრიფშის რაიონულ სასამართლოს განქორწინების თაობაზე. გულრიფშის რაიონული სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე 1992 წლის 12 აგვისტოს გულრიფშის რაიონის მმარის განყოფილებაში გასცა განქორწინების მოწმობა.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ ახვაზეთში საომარი მოქმედების დროს დაეკარგა განქორწინების მოწმობის დედანი, რის გამოც მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის, კერძოდ, განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების მიღება, რათა აღნიშნულის საფუძველზე გაიცეს ახალი განქორწინების მოწმობა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ნ. კ-ელის რწმუნებულ ე. შ-იას განცხადება დაკმაყოფილდა, დადგენილად იქნა ცნობილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ 1988 წლის 10 ნოემბერს ქ. სოხუმის მმარის განყოფილების მიერ ნ. კ-ელისა და ლ. ტ-მეს შორის რეგისტრირებული ქორწინება, რომლითაც ცოლს მიღებული ჰქონდა ქმრის გვარი - კ-ელია, 1992 წლის 12 აგვისტოს შეწყდა გულრიფშის რაისასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. განქორწინება რეგისტრირებული იყო გულრიფშის რაიონის მმარის განყოფილებაში და ცოლს დაუბრუნდა ქალიშვილობის გვარი - ტ-მე. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი დადგენილ იქნა განქორწინებაზე სამოქალაქო აქტის აღდგენის მიზნით.

გადაწყვეტილება 2006 წლის 11 დეკემბერს სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ტ-მის ნდობით აღჭურვილმა პირმა ნ. ტ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით ლ. ტ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. კ-ელიამ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით არის შეტანილი და სასამართლოს სააპელაციო საჩივარი უნდა დაეტოვებინა განუხილველად. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. კ-ელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ელის რწმუნებულ ე. შ-იას განცხადება დაკმაყოფილდა, ცნობილი იქნა დადგენილად იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ 1988 წლის 10 ნოემბერს ქ. სოხუმის მმარის განყოფილების მიერ ნ. კ-ელიასა და ლ. ტ-ძეს შორის რეგისტრირებული ქორწინება, რომლითაც ცოლს მიღებული ჰქონდა ქმრის გვარი - კ-ელია, 1992 წლის 12 აგვისტოს შეწყდა გულრიფშის რაისასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; განქორწინება რეგისტრირებული იყო გულრიფშის რაიონის მმარის განყოფილებაში და ცოლს დაუბრუნდა ქალიშვილობის გვარი - ტ-ძე, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი დადგენილი იქნა განქორწინებაზე სამოქალაქო აქტის აღდგენის მიზნით.

ასევე დადგენილია, რომ ნ. კ-ელიასა და ლ. ტ-ძეს შორის განქორწინების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე ნ. კ-ელიას განცხადების უდავო წარმოების წესით განხილვისას არ ყოფილა მიწვეული ლ. ტ-ძე, როგორც დაინტერესებული პირი.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან ლ. ტ-ძე დაინტერესებული პირის სტატუსით არ იყო მოწვეული სასამართლოში საქმის განხილვისას, სოხუმის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმა, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია XXXV-XII თავებით. უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას სასამართლომ უნდა აცნობოს სავარაუდოდ დაინტერესებულ ყველა პირს, რათა შესაძლებლობა მიეცეთ, მათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვასა და საჭიროების შემთხვევაში დროულად განახორციელონ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფლება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს ვალდებულებაზე უდავო წესით საქმის განხილვისას ყველა დაინტერესებული პირის მოწვევის შესახებ. აქედან გამომდინარე, განქორწინების თაობაზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვისას დაინტერესებული პირის სახით აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიწვეული ლ. ტ-ძე, ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხება მას. პირველი ინსტანციის სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში დაარღვია მხარის პროცესუალური უფლება, მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილი იყო დაგვიანებით და სააპელაციო სასამართლოს განუხილველად უნდა დაეტოვებინა ლ. ტ-ძის სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

დადგენილია, რომ სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების ასლი ლ. ტ-ძეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არც გაგზავნია და, შესასაბამისად, არც ჩააბარებია. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, ლ. ტ-ძეს არ დაურღვევია გასაჩივრების ვადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. კ-ელიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-894-1105-08

12 ნოემბერი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანასაკუთრებაში შემავალი მოძრავი ნივთების ღირებულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 აპრილს თ. ქ-აიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ლ. თ-მის მიმართ ქონების გაყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1966 წლიდან 1978 წლამდე. სადავო ქონება შეძენილ იქნა მოსარჩელის მიერ მხარეთა თანაცხოვრების პერიოდში. იგი მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში და ჰქონდა სტაბილური შემოსავალი. მოპასუხემ აღნიშნული ქონების ნებაყოფლობით გაყოფაზე განაცხადა უარი. მოსარჩელის განმარტებით, მისთვის მხოლოდ 2005 წელს გახდა ცნობილი ლ. თ-მის მხრიდან ქორწინების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა მხარეებს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ქ-აიას სარჩელი ლ. თ-მის მიმართ თანასაკუთრებაში შემავალი მოძრავი ნივთების ღირებულების ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ქ-აიამ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაბარდა 2008 წლის 12 ივლისს.

პალატამ ასევე დადგენილად ცნო, რომ თ. ქ-აიამ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანა 2008 წლის 5 აგვისტოს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. ქ-აიამ დაარღვია სააპელაციო საჩივრის აღძვრის საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი 14-დღიანი ვადა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ქ-აიამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 12 ივლისს იგი იმყოფებოდა თბილისში სამკურნალოდ, რის გამოც ბორჯომში გაგზავნილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის უწყება მან ვერ მიიღო და არ ჩაჰბარებია კურიერისაგან. კურიერმა მასზე გადასაცემი ბარათი დაუტოვა მისი მეზობლის - დ. გ-მის ოჯახს მისთვის გადასაცემად, რაც კერძო საჩივრის ავტორს, ბორჯომში ყოფნის გამო გადასცეს ერთი თვის შემდეგ.

ასევე კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ის გარემოება რომ თითქოს მან გადაწყვეტილება ჩაიბარა 12 ივლისს და რომ შეტყობინების ბარათზე მისი ხელმოწერა არ შეესაბამება სიმართლეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ქ-აიამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება თ. ქ-აიას ჩაჰბარდა 2008 წლის 12 ივლისს. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2008 წლის 28 ივლისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2008 წლის 5 აგვისტოს. სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით თ. ქ-აიას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ თ. ქ-აიას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის

გასვლის შემდგომ და, შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ კურიერმა მასზე გადასაცემი ბარათი დაუტოვა მისი მეზობლის - დ. გ-მის ოჯახს, რაც კერძო საჩივრის ავტორს გადასცეს დაგვიანებით - ბორჯომში ყოფნის გამო ერთი თვის შემდეგ. ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. ქ-აიას თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 12 ივლისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ქ-აიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-915-1123-08

12 ნოემბერი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ც. ქ-მემ, მოპასუხედ დაასახელა შპს „თერჯოლის რაიონული პოლიკლინიკა“ და მოითხოვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ცნობა.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ც. ქ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ქ-მემ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ც. ქ-მის სააპელაციო საჩივარი თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებაზე როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დასახელებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოსარჩელე ც. ქ-მეს ჩაჰბარდა პირადად, 2008 წლის 13 აგვისტოს.

ასევე დადგენილია, რომ ც. ქ-მემ სააპელაციო საჩივარი თერჯოლის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 1 სექტემბერს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ც. ქ-მეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2008 წლის 13 აგვისტოს, შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 27 აგვისტო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. ქ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით ის წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, რომელსაც ექიმმა ლ. ლ-შვილმა უსაფუძვლოდ უთხრა უარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრაზე.

ასევე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სააპელაციო საჩივარი დროულად შეიტანა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ დააგვიანა საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია რომ თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება ც. ქ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 13 აგვისტოს.

ასევე დადგენილია რომ ც. ქ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 1 სექტემბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორი არ უთითებს არავითარ სამართლებრივ ნორმაზე რაც შეიძლება გახდეს აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველი. ასევე ვერ იქნება გაზიარებული მხარის მიერ მითითებული გარემოება, რომ მან დროულად შეიტანა სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოში, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა ც. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველი, შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლები

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. ქ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-887-1099-08 17 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. უ-ევმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. უ-ევის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველით: მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ იშვილეს ქართველი ბავშვი, რის შესახებაც ბავშვისათვის ცნობილი არ იყო. მოპასუხემ მოსთხოვა გ. უ-ევს ნასყიდობის ხელშეკრულებით მამაპაპეული სახლის ნაწილის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ბავშვის წარმომავლობისა და შვილების ფაქტის გამჟღავნებით. 2005 წლის 9 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმდა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა მოგვიანებით შ. უ-ევმა მაინც გაამხილა შვილების ფაქტი. ამდენად, სადავო გარიგება დაიდო შანტაჟისა და იძულების გზით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. უ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი და აპელანტს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი

სახელმწიფო ბაჟი - 400 ლარი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გასაჩივრებული საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს, მათ შორის, გ. უ-ევსა და მის წარმომადგენელ თ. ქ-ძეს გაეგზავნათ და საქმეში წარმოდგენილი საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყების თანახმად, გ. უ-ევს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 27 ივნისს, ხოლო თ. ქ-ძისათვის გაგზავნილი სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა მისი ოჯახის წევრს, მამას - ნ. ქ-ძეს, რაც სასამართლომ თ. ქ-ძისათვის გზავნილის ჩაბარებადგ მიიჩნია. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა აითვალა 2008 წლის 23 ივნისიდან და მიუთითა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სასამართლოს მიმართა აღნიშნული ვადის დაარღვევით - 2008 წლის 10 ივლისს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 374-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. უ-ევმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა 2008 წლის 23 ივნისიდან არასწორად აითვალა, ვინაიდან დასახელებულ დროს სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენელ თ. ქ-ძის მამას, ნ. ქ-ძეს, რომელიც ხანში შესული, გულით ავადმყოფი პიროვნებაა, წლების მანძილზე თ. ქ-ძე მასთან ერთად არ ცხოვრობს და არც ხშირი ურთიერთობა აქვს. მართალია, გ. უ-ევს მიერ თ. ქ-ძისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ სანოტარო აქტში მითითებულია თ. ქ-ძის პირადობის მოწმობაში აღნიშნული ის მისამართი, რომელზეც სადავო სასამართლო გზავნილი გაიგზავნა, თუმცა რეალურად თ. ქ-ძე დიდი ხანია სხვა მისამართზე ცხოვრობს. აღნიშნული გარემოება დასტურდება კერძო საჩივარზე დართული სანოტარო აქტით, რომლის მიხედვით თ. ქ-ძის მეზობლები - ნ. ე-შვილი და გ. შ-შვილი ადასტურებენ 5 წლის განმავლობაში თ. ქ-ძის ქ. თბილისში, ... 11-ში მდებარე #5 ბინაში ცხოვრების ფაქტს. ამდენად, სასამართლო გზავნილი 2008 წლის 23 ივნისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის დარღვევით ჩაჰბარდა არაუფლებამოსილ პირს. ამასთან, გ. უ-ევმა საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ თ. ქ-ძეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუწყვიტა, რის შესახებაც წარმომადგენელს აცნობა. სააპელაციო სასამართლოსათვის აღნიშნული ფაქტის შეტყობინება კი არ ჩათვალა საჭიროდ, რადგან სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ნიმუშში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მისათითებლად ცალკე გრაფა გამოყოფილი არ არის. კერძო საჩივრის ავტორი შემოიფარგლა იმით, რომ ზემოხსენებულ ნიმუშში წარმომადგენლის გრაფა არ შეავსო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მას წარმომადგენელი არ ჰყავდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა გ. უ-ევსა და მის წარმომადგენელ თ. ქ-ძეს, რომლის სახელზე გაცემული მინდობილების შესაბამისად, თ. ქ-ძე უფლებამოსილი იყო, დაეცვა გ. უ-ევს ინტერესები 2008 წლის 24 აგვისტომდე. თ. ქ-ძეს სასამართლო გზავნილი გაეგზავნა მინდობილობასა და 2006 წლის 4 ოქტომბრის #54974 განცხადებაში მის მიერ მითითებულ მისამართზე, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #41-ში მდებარე #76 ბინაში და 2008 წლის 23 ივნისს ადრესატისათვის გადასაცემად ჩაჰბარდა მამამის ნ. ქ-ძეს. გ. უ-ევს სასამართლო გზავნილი პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 28 ივნისს.

2008 წლის 10 ივლისს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გ. უ-ევმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. უ-ევს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 74-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება

ან გზავნილი უნდა გაეგზავნოს მხარეს ან მის წარმომადგენელს და იგი მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი ჩაბარდება მისი ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებულ ოჯახის სრულწლოვან წევრად თ. ქ-ძის მამა - ნ. ქ-ძე მართებულად ჩათვალია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ თ. ქ-ძე წლების განმავლობაში მამასთან არ ცხოვრობს და ქ. თბილისში, ... ქ. #41-ში მდებარე #76 ბინაში მცხოვრები მისი მშობლები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ, თ. ქ-ძესთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან თ. ქ-ძემ ზემოხსენებული მისამართი სასამართლოს თავად აცნობა. აღსანიშნავია, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას თ. ქ-ძისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება ჩაჰბარდა მის დედას ... ქ. #41-ში, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს წარმომადგენელი გამოცხადდა საქმის განხილვაზე და რაიმე პრეტენზია სასამართლო უწყების არასწორ მისამართზე გაგზავნის ან მისი ჩაუბარებლობის შესახებ არ გამოუთქვამს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2008 წლის 23 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის თ. ქ-ძის მამისათვის ჩაბარება სასამართლო გზავნილის თ. ქ-ძისა და მის მარწმუნებელ გ. უ-ევისათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა მოცემული მომენტიდან სწორად აითვალა და, მითითებული ვადის დარღვევის გამო, გ. უ-ევის სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ მან თ. ქ-ძეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუწყვიტა, თუმცა აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინება საჭირო არ იყო, რადგან სააპელაციო საჩივრის ნიმუშში წარმომადგენლის გრაფის შეუვსებლობა თავისთავად მიუთითებდა, რომ აპელანტს წარმომადგენელი არ ჰყავდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეს შეუძლია თავის წარმომადგენელს ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხარე აღნიშნულის თაობაზე აცნობებს როგორც წარმომადგენელს, ისე - სასამართლოს. კანონის ხსენებული დანაწესის დაუცველობა ართმევს მხარეს უფლებას, პრეტენზია გამოთქვას სასამართლოსა და წარმომადგენლის მიერ იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებით, რაც მითითებულმა სუბიექტებმა არსებული უფლებამოსილების (მინდობილობის) ფარგლებში განახორციელეს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გ. უ-ევს თ. ქ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობა გაუქმებული ჰქონდა, რის საფუძველზეც თ. ქ-ძე არ იყო უფლებამოსილი, როგორც გ. უ-ევის წარმომადგენელს, ჩაებარებინა ზემოხსენებული გადაწყვეტილების ასლი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და
დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. უ-ევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-768-983-08

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ა-ძის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე. მან მიუთითა, რომ მოპასუხეს ასესხა 1700 აშშ დოლარი. 2002 წლის 10 ოქტომბერს გ. ა-ძეს მოსთხოვა თანხის დაბრუნება, მაგრამ მან არ დააბრუნა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 1500 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გ. ა-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1500 აშშ დოლარის ანაზღაურება ყოველთვიური 3%-ის დანამატით 2002 წლის 10 თებერვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, სახელმწიფო ბაჟის - 144 ლარის და ადვოკატის მომსახურების ხარჯების - 250 ლარის გადახდა; მოსარჩელეს დედის დაკრძალვის ხარჯების - 500 აშშ დოლარის, გ. ა-ძისათვის დაკისრების მოთხოვნაზე უარი ეთქვა. გ. ა-ძის შეგებებული სასარჩელო განცხადება სესხის ხელწერილის ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 13 ივნისის განჩინებით გ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ა-ძემ. მან მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმის გამო, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის გადაწყვეტილების ასლი გ. ა-ძისათვის ჩაბარებულად ჩათვალა პირადად 2007 წლის 22 სექტემბერს. შესაბამისად, გაშვებულად ჩათვალა სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების 14-დღიანი ვადა. მისი აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარებულად არ უნდა ჩაეთვალა და საქმე დასაშვებად უნდა ეცნო, რადგანაც საქმეს ერთვოდა მხოლოდ სახალხო ფოსტის მიერ ბეჭედდასმული შეტყობინების ბარათი, რომელიც არ არის შევსებული სრულყოფილად და უსაფუძვლოა. შეტყობინების ბარათზე შევსებული არ არის გზავნილის ჩამბარებლის პირადი ნომერი. არ არის შეტყობინების ბარათის ჩამბარებელი ფოსტის მუშაკის ხელის მოწერა. სახალხო ფოსტის სამსახურის უფროსის ჯ. მ-შვილის განმარტებით, აღნიშნული შეკვეთილი წერილი შეტყობინებით #183\11 მას არ ჩაჰბარებია, მასზე ხელი მოწერილი აქვს სხვა პირს, ვინმე ქ. ა-შვილს, რასაც წერილობით ადასტურებს გორის რაიონის სახალხო ფოსტის მუშაკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება 2007 წლის 22 სექტემბერს არ ჩაჰბარებია, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მისი სააპელაციო დასაშვებად უნდა ეცნო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ გ. ა-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ გორის რაიონული სასამართლოს 18 ივლისის გადაწყვეტილება მას არ ჩაჰბარებია.

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილების ასლი გ. ა-ძეს ჩაჰბარდა პირადად 2007 წლის 22 სექტემბერს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2007 წლის 22 სექტემბერს, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო გადაწყვეტილების გადაცემის მომდევნო დღიდან, ე.ი. 2007 წლის 23 სექტემბრიდან და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამოიწურა 2007 წლის 4 ოქტომბერს. გ. ა-ძემ კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 28 მაისს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი შეტანილია სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილი ვადის დარღვევით, კერძოდ, 6 თვისა და 24 დღის დავიანებით, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ამავე კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა გ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად, ვინაიდან მან კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით შეიტანა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-921-1128-08 5 დეკემბერი 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 6 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. და თ. ყ-შვილების განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე, რაზედაც სააპელაციო საჩივარი წარადგინა საქმეში დაინტერესებული პირის სტატუსით მონაწილე ა. ყ-შვილმა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ყ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წელს ა. ყ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 19 ივნისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 9 ივლისს.

პალატამ მიიჩნია, რომ ა. ყ-შვილს სადავო გადაწყვეტილება უნდა გაესაჩივრებინა ამ გადაწყვეტილების 2008 წლის 19 ივნისს ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში - 2008 წლის 4 ივლისამდე, სააპელაციო საჩივარი კი წარმოადგინა 2008 წლის 9 ივლისს, რის გამოც იგი დაუშვებელია კანონით დადგენილ ვადაში შეუტანლობისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ყ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2008 წლის 19 ივნისს ჩაჰბარდა 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და არა დასაბუთებული გადაწყვეტილება. 2008 წლის 27 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა გადმოეცათ მისთვის საქმის მასალების ქსეროასლები სრულად. ამ განცხადების საფუძველზე გადმოეცა საქმის მასალების ქსეროასლები, მათ შორის სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ქსეროასლიც.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ა. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად იმ საფუძველზე, რომ მან გაუშვა სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღეა და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. როგორც საქმის მასალებით ირკვევა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საერთოდ არ მიუღია. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ა. ყ-შვილის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არ გაუშვია.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საერთოდ გაურკვეველია ა. ყ-შვილის საპროცესო სტატუსი. სასამართლოში შეტანილია გ. და თ. ყ-შვილების სასარჩელო განცხადება ა. ყ-შვილის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ხარვეზი. 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით კი წარმოებაში მიღებულია გ. და თ. ყ-შვილების სარჩელი.

სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყებებშიც ა. ყ-შვილი მოწვეულია სასამართლო სხდომაზე როგორც მოსარჩელე. თუმცა სხდომის ოქმსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაში მასზე მითითებულია, როგორც დაინტერესებულ პირზე. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ა. ყ-შვილი მიჩნეულ იქნეს დაინტერესებულ პირად და, მითუმეტეს, შეუძლებელია ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ა. ყ-შვილის კერძო საჩივარი საფუძველიანია და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს და სასამართლომ უნდა შეამოწმოს ა. ყ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინამძღვრები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ყ-შვილის კერძო საჩივრი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმე ა. ყ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-917-1124-08

8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქონების გაყოფა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 27 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. გ-იამ მოპასუხე დ. ჩ-ავას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დ. და ე. ჩ-ავებს შორის 2005 წლის 4 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თანასაკუთრებაში არსებული - თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე #18 ბინიდან მისთვის წილის რეალურად გამოყოფა.

მოგვიანებით ლ. გ-იამ იმავე სასამართლოში დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინა, რომელშიც დ. ჩ-ავასთან ერთად მოპასუხედ ე. ჩ-ავა დაასახელა. ამჯერად მოსარჩელემ მოითხოვა დ.

და ე. ჩ-ავებს შორის 2005 წლის 4 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სადავო ბინაზე ე. ჩ-ავას საკუთრების უფლების თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის #19918/2005 სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა, აგრეთვე, დ. ჩ-ავასთან თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა და თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე #18 ბინიდან 2 ოთახის მის საკუთრებაში აღრიცხვა.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ ლ. გ-ია მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 1999 წლის 2 ივნისიდან. მათ ჰყავთ შვილი - დ. ჩ-ავა. მხარეებმა თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს საცხოვრებელი ბინა, მდებარე თბილისში, ... ქ. #7-ში. ბავშვის ბრონქიალური ასთმით ავადმყოფობის გამო ექიმის რჩევით მოსარჩელე დროის უმეტეს პერიოდს შვილთან ერთად ატარებდა თბილისში შეძენილ ბინაში. წელიწადზე მეტია მოსარჩელე მეუღლესთან ფაქტობრივად გაშორებულია. ამ უკანასკნელმა მოსარჩელე აიძულა, მცირეწლოვან შვილთან ერთად დაეტოვებინა მათ თანასაკუთრებაში არსებული ბინა. მოგვიანებით, მეუღლეებს შორის ურთიერთობის დამაბვისთანავე, თანასაკუთრების გაყოფის თავიდან აცილების მიზნით, დ. ჩ-ავამ და მამამისმა ე. ჩ-ავამ დადეს ფიქტიური გარიგება, რომლის საფუძველზეც ე. ჩ-ავამ საკუთარი შვილისაგან შეიძინა ზემომითითებული ბინა. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებით დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 1159-ე-1160-ე მუხლების იმპერატიული მოთხოვნები, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ე. და დ. ჩ-ავებს შორის 2005 წლის 4 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის #1-1896), ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის #19918/2005 სარეგისტრაციო ჩანაწერი, თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე #18 საცხოვრებელი სახლის 2 ოთახი საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. გ-იას სახელზე.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ე. ჩ-ავამ (წარმომადგენელი შ. ბ-შვილი) საჩივარი შეიტანა, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის განჩინებით ე. ჩ-ავას საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დასახელებული განჩინება სააპელაციო წესით გასაჩივრა ე. ჩ-ავამ (წარმომადგენელი შ. ბ-შვილი), რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების, მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აგვისტოს განჩინებით ე. ჩ-ავას დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში დავის საგნის საბაზრო ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა მის მიერ უკვე გადახდილი 150 ლარის გამოკლებით. განჩინებით მასვე განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ე. ჩ-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ აპელანტის წარმომადგენელს პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 26 აგვისტოს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენელ შ. ბ-შვილისათვის სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარება წარმომადგენელს აპელანტისათვის ჩაბარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული განჩინება წარმომადგენელ შ. ბ-შვილს 2008 წლის 26 აგვისტოს ჩაჰბარდა, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის დინება მისი მომდევნო დღიდან, კერძოდ - 2008 წლის 27 აგვისტოდან დაიწყო და 2008 წლის 11 სექტემბერს ამოიწურა. ვინაიდან დროის მითითებულ მონაკვეთში აპელანტმა ხარვეზი არ შეავსო, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ე. ჩ-ავამ (წარმომადგენელი შ. ბ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის დავის საგანი არ იყო ქონებრივი დავა, რამდენადაც გასაჩივრებული იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, კერძო საჩივრის მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლზე, რომელშიც საუბარია სასამართლო უწყების ჩაბარების შესახებ მხარის ინფორმირებასთან დაკავშირებით წარმომადგენლის ვალდებულებაზე და აღნიშნავს, რომ

მოცემულ შემთხვევაში მას ჩაჰბარდა არა სასამართლო უწყება, არამედ - განჩინება, რისი გადაცემაც რუსეთში მყოფი ე. ჩ-ავასათვის ვერ მოხერხდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ჩ-ავას (წარმომადგენელი შ. ბ-შვილი) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 აგვისტოს განჩინება მოპასუხე ე. ჩ-ავას წარმომადგენელ შ. ბ-შვილს, რომელსაც მარწმუნებლის სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა, გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მის მიერ მითითებულ მისამართებზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ მითითებული განჩინება ჩაჰბარდა შ. ბ-შვილის ოჯახის წევრს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ითვლება მისთვის განჩინების ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აპელანტის წარმომადგენელ შ. ბ-შვილისათვის სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარება წარმოადგენდა აპელანტისათვის ჩაბარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 15-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2008 წლის 26 აგვისტოს და დასრულდა 2008 წლის 10 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია და სააპელაციო სასამართლოსთვის არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ჩ-ავას (წარმომადგენელი შ. ბ-შვილი) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-964-1166-08 8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ივერიამშენის» მიმართ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საჯარიმო სანქციის - 136224,02 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელესა და სს «ივერიამშენს» შორის 2006 წლის 27 ივლისის დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მოპასუხეს 2006 წლის 25 აგვისტოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის უნდა მიეწოდებინა სასკოლო ინვენტარი. ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა ჩაბარების ფორმა და შესრულების ვადის გადაცილებისათვის საჯარიმო სანქცია - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების 0,5%-ის ანაზღაურება. 2006 წლის ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით სს «ივერიამშენმა» ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ნაწილობრივ, კერძოდ, მან სასკოლო ინვენტარი შეიტანა მხოლოდ 15 საჯარო სკოლაში, ხოლო, ხელშეკრულების თანახმად, მას ხსენებული ვალდებულება უნდა შეესრულებინა კიდევ 22 საჯარო სკოლის მიმართ, რაც არ განუხორციელებია. სს «ივერიამშენის» 2006 წლის 22 ნოემბრის წერილის თანახმად, მან აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა ფორსმაჟორული გარემოების გამო, თუმცა მოვალეს დასახელებული გარემოება სათანადოდ არ დაუსაბუთებია, რის გამოც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მოითხოვა საჯარიმო თანხის ანაზღაურება, რამაც შეადგინა 136224,02 ლარი. სს «ივერიამშენმა» არც აღნიშნული ვალდებულება შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება გამომდინარეობს ფორსმაჟორული გარემოებიდან, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ასევე მისაწოდებელი საქონლის საქართველოში დაგვიანებით იმპორტის გამო, რაც სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის თანახმად, არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევას. სარჩელზე დართული მიღება-ჩაბარების აქტებიდან ირკვევა, რომ ისინი გაფორმებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ. ასევე მითითებულია, რომ ჩაბარება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მხარეთა მიერ თავდაპირველად გათვალისწინებული ვადის დაუცველობას მოსარჩელისათვის არ მიუყენებია არავითარი ზიანი. ასევე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 10.2 მუხლის თანახმად, საჯარიმო სანქციის გამოყენება წარმოადგენს არა სავალდებულო პირობას, არამედ - შემსყიდველის უფლებას. გარდა დასახელებული გარემოებისა, ხელშეკრულების თანახმად, შესრულების ვადის გაგრძელება დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოა. დასახელებული ხელშეკრულების 15.1 მუხლი ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უზრუნველყოფის გარანტიის შემსყიდველის მიერ გამოყენებას ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ. 10.5 მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადის 10 დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებელს არ უბრუნებს შესრულების უზრუნველყოფ საბანკო გარანტიას. ის გარემოება, რომ დასახელებული გარანტია მოსარჩელის მიერ დაბრუნებულია, ადასტურებს სს «ივერიამშენის» მიერ ნაკისრი ვალდებულების დროულად შესრულებას. თავად ფორსმაჟორული გარემოების გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პირობები ხელშეკრულების მე-19 მუხლითაა მოწესრიგებული და იგი საჯარიმო სანქციის გამოყენებისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად იქნა დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის პირველ სექტემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. დასახელებული გარემოებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ჰქონდა 2008 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო მან სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 2008 წლის 16 სექტემბერს - კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დაუცველად, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანცელარიას ჩაბარდა 2008 წლის პირველ სექტემბერს და რეგისტრაციაში გატარდა 2 სექტემბერს. საქართველოში არსებული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე 2008 წლის პირველი სექტემბრის სამუშაო დღის მეორე ნახევარი გამოცხადდა უქმედ, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება რეგისტრაციაში გატარდა 2 სექტემბერს, ხოლო გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ბოლო დღე არის 16 სექტემბერი. ამდენად, სააპელაციო საჩივარი კანონით

დადგენილ ვადაში იქნა შეტანილი და სააპელაციო სასამართლომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უსაფუძვლოდ უთხრა უარი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები ითვალისწინებს სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესს. სწორედ დასახელებული მუხლების საფუძველზე ხდება სასამართლო გადაწყვეტილებათა და სხვა საპროცესო დოკუმენტების მხარისათვის ჩაბარება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადრესატისათვის სასამართლო უწყების (გზავნილის) ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის პირველ სექტემბერს, შესაბამისად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2 სექტემბრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 2008 წლის 15 სექტემბერს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ვინაიდან 2008 წლის პირველი სექტემბრის სამუშაო დღის მეორე ნახევარი გამოცხადდა უქმედ, საპროცესო ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო არა სასამართლო გზავნილის ჩაბარების დღიდან, არამედ მისი რეგისტრაციაში გატარებიდან - 2008 წლის 2 სექტემბრიდან. როგორც ზემოთ მითითებულ ნორმათა ანალიზი ცხადჰყოფს, საპროცესო ვადის ათვლა იწყება მხარისათვის სათანადო წესით გზავნილის ჩაბარებიდან და არა კონკრეტულ უწყებაში არსებული კორესპოდენციების რეგისტრაციის წესების შესაბამისად.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ 2008 წლის პირველი სექტემბრის მეორე ნახევარი გამოცხადდა უქმედ, აღნიშნული არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, ვინაიდან მხარემ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გზავნილი ჩაიბარა 2008 წლის პირველ სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში, სამუშაო დროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ არსებობს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას, რის გამოც მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინება

#ას-909-1117-08 11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 11 ივლისს ნ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი. ნ-მისა და ა. ო-იანის მიმართ და მოითხოვა ი. ნ-მესა და ა. ო-იანს შორის 1997 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების გასხვისების ნაწილში და მათი კვლავ თავის საკუთრებაში აღრიცხვა, ასევე, ი. ნ-მეზე ნასყიდობის თანხიდან მიუღებელი 1100 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-შვილის წარმომადგენელმა მ. პ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით, ნ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. პ-შვილის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-შვილის წარმომადგენელმა მ. პ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინების გაუქმება და გასაჩივრების ვადის გადაცილების საპატიოდ ჩათვლა იმ საფუძველით, რომ ნ. მ-შვილი არის ინვალიდი პენსიონერი, იურიდიულ საკითხებში ვერ ერკვევა და დამოუკიდებლად არ შეუძლია თავისი უფლებების დაცვა, ხოლო თავად იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში და აგვისტოს საომარი მოვლენების გამო ვერ მოახერხა სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანა სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. პ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების ასლი ნ. მ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ივლისს, ხოლო მისმა წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2008 წლის 15 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2008 წლის 13 აგვისტო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიო მიზეზით მოხდა, საპატიო მიზეზად ჩათვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

მითითებული მუხლის თანახმად, კანონისმიერი ვადის აღდგენა დაუშვებელია თუ კანონი თვითონ კრძალავს ამას (369-ე, 397-ე, 416-ე მუხლები), მაგრამ თუ ეს აკრძალული არაა სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ვადა, თუ ამ ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. მ-შვილი არის ინვალიდი პენსიონერი, იურიდიულ საკითხებში ვერ ერკვევა და დამოუკიდებლად არ შეუძლია თავისი უფლებების დაცვა, ხოლო თავად იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში და აგვისტოს საომარი მოვლენების გამო ვერ მოახერხა სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანა სააპელაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადის აღდგენის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, კანონი თავად კრძალავს კანონისმიერი ვადის აღდგენას, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

ამდენად, ნ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. კ-შვილის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი მართებულად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-1019-1213-08

22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მემ სარჩელი ადრა სასამართლოში ა. და თ. უ-ძეების, ჟ. ხ-აზის, ქ. ბათუმის ნოტარიუსების - ლ. ჭ-იასა და ხ. კ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999 წლის 23 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. #16-ში მდებარე უძრავი ნივთის 3/11 გადავიდა ა. უ-ძის საკუთრებაში, ხოლო 2003 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ა. კ-იას მემკვიდრე თ. გ-ორსა და თ. უ-ძეს შორის, რომლის მიხედვით, თ. უ-ძემ იყიდა ამავე მისამართზე არსებული უძრავი ნივთის 3/11, თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებებში გასხვისებული მიწის ნაკვეთის ოდენობა არასწორად იყო მითითებული, რის გამოც შეილახა მოსარჩელის, როგორც ამავე უძრავი ნივთის თანამესაკუთრის, უფლებები.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც ა. და თ. უ-ძეების წარმომადგენელმა დ. შ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონის მოთხოვნათა დაცვით და თ. უ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძეს ჩაბარდა 2008 წლის 16 იანვარს. თ. უ-ძემ სააპელაციო საჩივარი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ფოსტით გააგზავნა 2008 წლის 21 აპრილს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 369-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც წარმოადგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაზე თ. უ-ძის წარმომადგენელმა დ. შ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ თ. უ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თ. უ-ძემ 2008 წლის 19 იანვარს «მოკლე» სააპელაციო საჩივარი გაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს ფაქსის მეშვეობით, რაც დასტურდება კერძო საჩივარზე დართული ფაქსის ჩაბარების ამსახველი დოკუმენტით. გაუგებარია, თუ რატომ არ დაერთო აღნიშნული სააპელაციო საჩივარი საქმეს, თუმცა აღნიშნული თ. უ-ძისათვის სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლების შეზღუდვის საფუძველი არ უნდა გახდეს. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატას თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა იმის გათვალისწინებითაც, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება თანაბრად უკანონო როგორც ა., ისე - თ. უ-ძეების მიმართ და ერთ-ერთი მათგანის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობა, მეორე მხარესაც უკარგავს მისი გასაჩივრების მნიშვნელობას. სააპელაციო პალატა უთითებს, რომ თ. უ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2008 წლის 21 აპრილს, თუმცა სასამართლომ იგი განუხილველად დატოვა 2008 წლის 27 ოქტომბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლით განსაზღვრული 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული საქმე თავდაპირველად იხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო წარმოებაში. აღსანიშნავია, რომ «მოკლე» სააპელაციო საჩივრის შეტანისას დაშვებულ იქნა ტექნიკური უსწორობა, კერძოდ, ხელმოწერის ნაწილში თ-ს ნაცვლად, არასწორად მიეთითა ა. უ-ძეზე, თუმცა ამ დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ თ. უ-ძემ გამოავლინა სააპელაციო საჩივრის შეტანის ნება. დამატებით მოსაზრებაში კერძო საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ სადავო უძრავი ნივთი თ. უ-ძემ 2008 წლის იანვარში მიჰყიდა ვ. ხ-შვილს, შესაბამისად, სადავო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით ვ. ხ-შვილს შესაძლებლობა ადარ ეძლევა თ. უ-ძის უფლებამონაცვლედ ჩაერთოს საქმეში.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი თ. უ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძეს ჩაბარდა 2008 წლის 16 იანვარს, ხოლო სააპელაციო საჩივარი თ. უ-ძემ სააპელაციო სასამართლოსათვის გასაგზავნად ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 21 აპრილს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. უ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ თ. უ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა ზემოხსენებული ნორმით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი სავსებით მართებულად დარჩა განუხილველად.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ მან 2008 წლის 19 იანვარს სააპელაციო სასამართლოს გაუგზავნა «მოკლე» სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან ასეთი საქმეში არ მოიპოვება და არც მხარის მიერ კერძო საჩივარზე დართული ფაქსის ამონაწერით არ დასტურდება. აღნიშნული ამონაწერი დათარიღებულია 2002 წლის 19 იანვრით, ხოლო გაგზავნილი და ჩაბარებული ფურცლების ოდენობიდან დასტურდება, რომ ნომერზე ... ადრესატს არც ერთი გვერდი არ გაგზავნია და არც

ჩაპბარებია. შესაბამისად, დასახელებული მტკიცებულება სადავო სააპელაციო საჩივრის გაგზავნის დასადასტურებლად ვერ გამოდგება.

სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სადავო სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის წესების დაცვით, რადგან მოცემული საქმის წარმოება თ. უ-ძის სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტისათვის მიმდინარეობდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თ. უ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველი ვერ გახდება მხარის მითითება, რომ მან სადავო უძრავი ნივთი გაასხვისა სხვა პიროვნებაზე, ამასთან, თ. უ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება ა. უ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებას აზრს უკარგავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ნორმით დადგენილი ვადის დარღვევა უპირობოდ იწვევს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. უ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-757-973-08 31 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. და მ. ს-იანებმა სარჩელით მიმართეს თელავის რაიონულ სასამართლოს და განმარტეს, რომ 2007 წლის 4 აგვისტოს თავიანთი კუთვნილი მერსედეს-ბენცის მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ თელავის რუისპირის მიმართულებით, ხოლო მათ საპირისპიროდ ზ. მ-შვილის კუთვნილი «ვაზ-21063» მარკის ავტომანქანით მოძრაობდა მისი შვილი დ. მ-შვილი, რომელიც გადავიდა მოსარჩელების სავალ ნაწილზე და შეეჯახა მათი მართვის ქვეშე მყოფ ავტომანქანას, რის შედეგადაც თ. და მ. ს-იანებმა მიიღეს როგორც ფიზიკური დაზიანებები, ასევე განიცადეს მატერიალური და მორალური ზიანი, რადგან მთლიანად განადგურდა მათი ავტომანქანა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეებს ზიანის ანაზრაურების სახით დაკისრებოდა 12446 ლარის გადახდა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელების თ. და მ. ს-იანების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე ზ. მ-შვილს დაეკისრა 7760 ლარის გადახდა მოსარჩელების სასარგებლოდ.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინებით ზ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაპბარდა 2008 წლის 8 ივნისს, ხოლო ზ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 24 ივნისს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს სააპელაციო საჩივარი სასამართლოში უნდა წარედგინა 2008 წლის 23 ივნისს ოცდაოთხ საათამდე.

პალატა თვლის, რომ ზ. მ-შვილმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის აღმდგომის საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი 14-დღიანი ვადა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ზ. მ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით გასაჩივრებული განჩინების ასლი მის ოჯახს ჩაჰბარდა 2008 წლის 14 ივნისს. სააპელაციო საჩივარი კი შემოტანილი აქვს ჩაბარებიდან მეათე დღეს, 24 ივნისს. მის მიერ განჩინების ასლის ჩაბარების თარიღს ადასტურებს შპს „სკს-ს“ შეტყობინების ბარათი გზავნილების ჩაბარების შესახებ, ასევე შპს „სკს-ს“ კურიერისაგან მის მიმართვაზე, მიღებული პასუხი, რომ სასამართლოს გზავნილი საქმე #2/38-ზე ჩაბარდა მის მეუღლეს - თ. მ-შვილს 2008 წლის 14 ივნისს. აღნიშნულის დასადასტურებლად იგი საჩივარს ურთავს სასამართლოში გზავნილების ჩაბარების დადასტურების ჟურნალის ასლს, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლოს შპს „სკს-გან“ პასუხი დაუბრუნდა 16.06.2008 წ., ხოლო მისთვის უცნობია საქმის ფურცელ 80-ზე რა თარიღი წერია ჩაბარების თარიღად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით მას განჩინების გასაჩივრების ვადა არ გაუშვია და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველიც არ არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა მოითხოვა 2008 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ ზ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინებით ზ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს და მისი დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამასთან აღნიშნული ვადა აღდგენას არ ექვემდებარება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 8 ივნისს, ხოლო ზ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 24 ივნისს, ზემოხსენებული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინების ასლი მის ოჯახს ჩაბარდა 2008 წლის 14 ივნისს, რის დასადასტურებლად წარმოადგინა სასამართლო გზავნილის ასლი და შპს «სკს-ს» კურიერის წერილი. მოცემულ მტკიცებულებებს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ შეტყობინების ბარათი გზავნილების ჩაბარების შესახებ საიდანაც ირკვევა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზ. მ-შვილს ჩაბარდა 2008 წლის 8 ივნისს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქმის მასალებში არსებული გზავნილის მონაცემებს და თვლის, რომ ზ. მ-შვილმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი ზ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.